ყოველი ბოროტია, „ეროსია“ იმითი

ეროსი

ფასი 50 თეთრი

№74 (969) 11 - 13 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანელ კოლეგასთან შეთანხმებას ხელი მოაწერა

გვ. 2

საახალწლოდ გაფლანგული მილიონები, რომლითაც უგულავას პროკურატურა ბრალს დაუმძიმებს

გვ. 5-6

რა პოსტი ეკავა თბილისის მერიაში და რა სასჯელი ელის ლელა კილაძეს

სახელმწიფო აუდიტმა გამოძიებას სკანდალური დასკვნა გადაუგზავნა

„ბიზნესი ირაკლი ოქრუაშვილმა წამართვა!“

გვ. 7

დიპლომატ მამუკა გამყრელიძის სკანდალური პროგნოზები

გვ. 6

გამოიყენებს თუ არა ისრაელი „ჰამასის“ წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს და რა როლს შეასრულებს ახლო აღმოსავლეთში დაწყებულ ომში საქართველო?

ცოლის მკვლელის გამხელილი საიდუმლო

 პატიმრის დღიური

რატომ უამბო პატიმრებს ახალციხელმა სასჯელმისჯილმა ტრაგიკული სიყვარულის ისტორია და რატომ ითხოვა თანამესაკნემ სხვა ციხეში გადასვლა

გვ. 7

„ეს ადამიანები არჩევნების მერე ქვეყანას დატოვებენ“

რატომ მოითხოვს ნაციონალების დაკავებას და რა პრეტენზიები აქვს თავის გუნდთან გედევან ფოფხაძეს

გვ. 3

ანაკლიის პორტის მშენებლობით უმსხვილესი გერმანული და ჩინური კომპანიები დაინტერესდნენ

ᲔᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

10 ივლისს, თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლაში“ ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, საქართველოს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე, ბიზნესმენები და პოტენციური ინვესტორები დაესწრნენ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ანაკლიაში დაგეგმილია ღრმაწყლოვანი, მულტიფუნქციური პორტის მშენებლობა, რომელიც დიდი ტევადობის გემებს — „პანამაქსს“ მოემსახურება. ანაკლია ღრმაწყლოვანი პორტისთვის საუკეთესო ადგილად მას შემდეგ შეირჩა, რაც საქართველოს საპარტნიორო ფონდის დაკვეთით, საერთაშორისო გამოცდილების მქონე საინჟინრო-საკონსულტაციო იაპონურმა კონსორციუმმა კვლევა ჩაატარა.

იაპონურმა კონსორციუმმა Oriental Consultants Company Limited, შავი ზღვის სანაპიროზე, ენგურსა და ჭოროხს შორის, 10 ლოკაცია შეისწავლა და პორტისთვის საუკეთესო ადგილად ანაკლია მიიჩნია. ანაკლიის უპირატესობა ისაა, რომ ნავსადგურს სტრატეგიული მდებარეობა და დიდი ზომის გემების მიღების შესაძლებლობა აქვს. გარდა ამისა, ანაკლიის პორტი მაღალი გამტარუნარიანობით, ლოგისტიკური სერვისების განვითარებისა და ინდუსტრიული კლასტერის შექმნის პოტენციალით გამოირჩევა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, **გიორგი კვირიკაშვილის** განმარტებით, ანაკლიის პორტის ადგილმდებარეობას კონკურენტული უპირატესობაც ახასიათებს: **„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ანაკლიის პორტის მშენებლობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იქნება. ანაკლიის პორტი საქართველოს მთავარი საზღვაო კარიბჭე და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ლოგისტიკური ცენტრი გახდება. აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა საქართველოზე გადის, რაც ჩვენს ქვეყანას უნიკალურ შესაძლებლობას უქმნის, საკუთარი სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს. მაგალითად, ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით უმოკლესი გზა, სწორედ საქართველოზე გადის და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის პრიორიტეტულია ჩინეთში წარმოებული ტვირთის მოზიდვა, გადაზიდვა და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის სრულად რეალიზება“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** აღნიშნა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი მთავრობის მნიშვნელოვანი მიღწევაა. მისი თქმით, ჩინეთიდან საქართველოს გავლით, ევროპაში ტვირთების გადაზიდვას 17 დღე დასჭირდება. პროექტის მიზანია, ბოლო ფაზაში, ანაკლიის პორტის გამტარუნარიანობამ 100 000 000 ტონა ტვირთამდე მიაღწიოს: **„ჩვენს ქვეყანას გამოუყენებელი პოტენციალი აქვს და ანაკლიის პორტის მშენებლობით, მისი გამოყენების საშუალება მოგვეცემა. საქართველო უმოკლესი გზაა აზიასა და ევროპას შორის და ანაკლიის პორტის აშენებით, მსოფლიოს სატრანსპორტო რუკა რეალურად შეიცვლება. პორტის მშენებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია, რადგან შეიქმნება უამრავი ახალი სამუშაო ადგილი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. ამ ეტაპზე რამდენიმე საერთაშორისო კომპანია უკვე დაინტერესდა, რომ პორტის მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა. მათ შორისაა, უმსხვილესი გერმანული და ჩინური კომპანიები. ჩინეთი აქტიურადაა დაინტერესებული ამ პროექტით. რუმინეთის პრემიერსაც შევხვდი, რადგან სწორედ რუმინეთის ჩართულობით უნდა აღდგეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი „აბრეშუმის გზა“. ამ ეტაპზე, საქართველოს მთავრობა ამ პროექტში უშუალოდ არ მონაწილეობს, პორტის მშენებლობას კომერციული კომპანიები დააფინანსებენ, თუმცა საქართველოს მთავრობა პროექტის თანამონაწილე იქნება“.**

ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებაში, საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა შესაბამისი მიწის ნაკვეთის გამოყოფაში გამოიხატება. მეტიც, მთავრობა ანაკლიაში აქტიურად განიხილავს თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესაძლებლობას, რაც აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში მოქმედი კომპანიებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის განხორციელებას გულისხმობს. „ვერსიის“ კითხვაზე, კონკრეტულად რა ტიპის თავისუფალი ზონა შიექმნება ანაკლიაში, ეკონომიკური თუ ინდუსტრიული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განმარტა, რომ საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და მასზე სპეციალური კომისია იმსჯელებს.

ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი სამი ეტაპი, მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში, არანაკლებ 40 000 000 ტონა ტვირთის გამტარუნარიანობის მიღწევას ითვალისწინებს. კერძოდ, მესამე წელს — 7 000 000 ტონა ტვირთის, მეშვიდე წელს — 20 000 000 ტონა ტვირთის, მე-12 წელს — 40 000 000 ტონა ტვირთის გადაზიდვაა დაგეგმილი. მშენებლობა შვიდფაზიანია. მისი მეოთხე და ყოველი მომდევნო ეტაპი უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც იმ ეტაპზე პორტის ტვირთბრუნვა, მისი გამტარუნარიანობის 90%-ს მიაღწევს. რაც შეეხება პორტის მშენებლობით დაინტერესებულ პოტენციურ ინვესტორებს, ინფორმაცია ინტერესთა გამოცხადების პროცედურაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდება. ამის შემდეგ, ინვესტორებს საშუალება ექნებათ, შესაბამისი დოკუმენტაცია სამინისტროს წარუდგინონ. ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 1 ოქტომბერი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანელ კოლეგასთან შეთანხმებას ხელი მოაწერა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე პირველი ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა შეხვედრა გამართა გერმანელ კოლეგასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ თომას დე მაიზირესთან. შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“.

აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, როგორიცაა: სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, იარაღის უკანონო ბრუნვა, ადამიანებით ვაჭრობა და უკანონო მიგრაცია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კორუფცია, კიბერდანაშაული, ფულის გაყალბება, ფინანსური დანაშაულები და სხვა. ხსენებული შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას როგორც ოპერატიული, ასევე არაოპერატიული კუთხით, კერძოდ: დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში მეკავშირე ოფიცრების წარგზავნა, სპეციალისტების წარგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გაზიარების მიზნით, კრიმინოლოგიური და საექსპერტო-კრიმინალისტიკური კვლევის შედეგების გაზიარება.

შეხვედრის შემდეგ, შეთანხმების ხელმოწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას დე მაიზირემ შეაფასა: **„გერმანიის ფედერაციული მთავრობა, რომელსაც წარმოვადგენ და საქართველოს მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ჩემი კოლეგა, ხელს აწერს შეთანხმებას უსაფრთხოების სფეროში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. თავისუფლება და უსაფრთხოება ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის ძალიან უმნიშვნელოვანესია, რადგან თავისუფლების გარეშე არ არსებობს უსაფრთხოება, უსაფრთხოების გარეშე კი, არ არსებობს თავისუფლება. დღეისთვის უსაფრთხოების ორგანიზება არცერთ ქვეყანას მარტო არ შეუძლია და ამისათვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა. უსაფრთხოებაში ვგულისხმობ არა მარტო კრიმინალთან ბრძოლას, არამედ ეს ეხება უსაფრთხოებას ფართო გაგებით — ფრენის, საზღვრების, დოკუმენტების... უსაფრთხოება, დახმარება პოლიციელთა თანამშრომლობაში. ჩვენი შეთანხმების მიზანია, საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა ამ სფეროში კიდევ უფრო მაღალხარისხობრივ საფეხურზე ავიყვანოთ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს მინისტრებმა. ეს მხოლოდ ხელმოწერაა, მაგრამ ხვალიდანვე დავიწყებთ მის განხორციელებაზე მუშაობას“.**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ მადლობა გადაუხადა გერმანელ კოლეგას და საქართველოს შსს-სთვის გერმანიის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა: **„მადლობას გადავუხდი ჩემს კოლეგას, გერმანიის მთავრობას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, ევროპასთან დაახლოებისთვის. გერმანია ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, რაც შეიძლება მრავალი ვისწავლოთ პრაქტიკაში, გამოცდილებაში. გერმანია ხდება სტრატეგიული თანამშრომელი ჩვენი ქვეყნის არამარტო კრიმინალთან ბრძოლაში, უსაფრთხოებაში და სხვადასხვა იმ მნიშვნელოვან ასპექტში, სადაც ჩვენს ქვეყანას აუცილებლად გამოადგება გერმანიის ცოდნა და პრაქტიკა. მინდა, მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო და ვუსურვო წარმატებები“.**

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა ვერტმფრენმა დაარღვია

შსს-ს ინფორმაციით, ვერტმფრენმა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ორ სოფელს გადაუფრინა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გაფრინდა.

მეჯვრისხევსა და საკორინთლოს თავზე რუსული ვერტმფრენი 9 ივლისს, 11:00 საათზე დააფიქსირეს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტი ცხელი ხაზის მეშვეობით ევროკავშირის მისიას ეცნობა.

ქართული მხარე აღნიშნული საკითხის დაყენებას ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების კომისიის სხდომაზე და ჟენევის მოლაპარაკებებზე გეგმავს.

„ვერსიანიუსი“

„ეს ადამიანები არჩევნების მერე ქვეყანას დატოვებენ“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

„ოცნებას“ სხვებზე მეტის გაკეთება შეუძლია. ჯერჯერობოთ, საკუთარი ღირებულებებისთვის არ გვიღალატია. პოლიტიკური საქმიანობისა და კიდევ ერთი შანსის უფლება არ დაგვიკარგავს — ეს ადგილობრივი არჩევნების წინ „ოცნების“ დეპუტატისა და ბორჯომის მაჟორიტარის, გედევან ფოფხაძის შეფასებებია. მისივე აზრით, მეორე ტურში, სადაც ნაციონალ მელიას წინა შედეგის გამეორების შანსიც არ აქვს, ერთმანეთს „ოცნება“ და „უტიფრები“ შეხვდებიან. რატომ აიგივებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უტიფრობას ნაციონალობასთან და რას საყვედურობს გამოძიებასა და საპარლამენტო უმრავლესობას — მეორე ტურის წინ „ვერსია“ ტრიბუნას გედევან ფოფხაძეს უთმობს:

რატომ მოითხოვს ნაციონალების დაკავებას და რა პრეტენზიები აქვს თავის გუნდთან გედევან ფოფხაძეს

— არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოსო, განაცხადეთ. რატომ?

— წინა არჩევნებზეც დაახლოებით ისეთივე აქტიურობა იყო, როგორც 2006 და 2012 წელს. 2010-ში ხალხი იძულებითაც გადიოდა საარჩევნო უბნებზე, წელს კი ეს ტენდენცია ვერ შევამჩნიე. ვინც არჩევნებზე არ მოვიდა, მას არც სამსახურში მივარდნია ვინმე და ამ მოტივით, არც მისი დევნა დაწყებულა. ჩემი აზრიც არ მითქვამს კატეგორიულად — უბრალოდ, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, როცა ადამიანები არჩევნებზე არ დადიან, გარკვეული სანქციებით ჯარიმდებიან. ზოგადად, როცა ადამიანი არჩევნებზე არ დადის, არც უნდა ეწყინოს, თუ ცუდი ხელისუფლება ეყოლება. ამით მთელს პროცესს უცხადებ უნდობლობას და არა კონკრეტულ ძალას. მისვლა და ყველას გადახაზვა ბევრად სწორია, ვიდრე არმისვლა.

— იმ განცხადების ფონზე, რომ ნაციონალები რადარიდან გაქრნენ, საკმაოდ კარგი შედეგი ჰქონდათ. რას ელით მეორე ტურისგან?

— თბილისში არჩევნებზე მაინც თავისებური კონიუნქტურა იყო. ჩვენ რომ საარჩევნო უბნებთან ჟურნალებით ვმდგარიყავით და ამომრჩევლის მოსვლა გვეკოტროლებინა, უკეთესი შედეგი გვექნებოდა, მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა. ნაციონალებმა სრული მობილიზაცია გამოაცხადეს და ნიკა მელიას მიერ აღებული 27% მათი შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. მეორე ტურში, რაც უნდა გააკეთონ, იგივე შედეგს ვეღარ გაიმეორებენ. მათ ათასობით სტაბილური ხმა დაკარგეს თბილისში. ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ ძალად მართლა აღარ უნდა დარჩეს, რადგან ზოგ ადგილას ისინი ნინო ბურჯანაძემ და პატრიოტთა ალიანსმაც დაამარცხა. მათ ქალაქის თვითმმართველობასა და ადმინისტრაციულ სისტემაში სერიოზული რესურსი ჰქონდათ, რომელიც დღეს აღარ აქვთ. მიმაჩნია, მეორე ტურს დავით ნარმანია ძალიან დამაჯერებლად მოიგებს.

— ნიკა მელიას გამარჯვების შემთხვევაში, გეგმა „ბ“ თუ გაქვთ, თუ ისევ უნდა იძახოთ, პრობლემებს იმიტომ ვერ ვაგვარებთ, რომ ხელს ნაციონალები გვიშლიანო?

— არჩევნები ზუსტი მეცნიერება არ არის, მაგრამ მელიას გამარჯვებას მაინც გამოვრიცხავ. როცა ხელისუფლებაში იყავი, ოპოზიციაში გადახვედი, ისევ ხელისუფლებაში გინდა მოსვლა, მაგრამ რადარიდან რომ არ გაქრი, 27% აიღე და გიხარია, ეს შენი და შენი რეიტინგის სასარგებლოდ არ მეტყველებს.

— ნაციონალების მხარდამჭერები ასე არ ფიქრობენ. დაკავებების გაუგებარი სერია, საარჩევნო შტაბის უფროსის, გიგი უგულავას არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაპატიმრება — ამ ყველაფრის ფონზე, იქნებ, მეორე ტური არც ისე დემოკრატიული იყოს და ისე კარგადაც აღარ შეფასდეს, როგორც ეს პირველი ტურის დროს მოხდა?

— უტიფრობა და ნაციონალობა სინონიმებია! უგულავას დაჭერის დროს მთელი პარტია ცდილობდა, ხალხისთვის შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ამის საფუძველი არ არსებობდა. არადა, უგულავას იმდენი აქვს გაფუჭებული მერობის პერიოდში, მისი პოლიტიკური სტატუსი პროკურატურას ხელს ვერ შეუშლიდა! თუნდაც მხოლოდ „სითი პარკისგან“ თბილისის მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ზარალდებოდა.

— ვიდრე ახლახან გადეპუტატებულმა ალეკო ელისაშვილმა არ თქვა ამის შესახებ, უმრავლესობის ლიდერებისგან ეს ბრალდება არ მომისმენია.

— არა მგონია, მაინცდამაინც ელისაშვილის მიერ გაჟღერებული ფრაზის მერე დაეწყო ამაზე ფიქრი პროკურატურას. ამის შესახებ მეც არაერთხელ მითქვამს.

— იპოთეკარების თემაზეც არაერთხელ გითქვამთ, მაგრამ პრობლემა არ მოგვარებულა.

— არა, ვერ მოგვარდა. ხელისუფლებას თავისი მინუსები აქვს — რაღაც საკითხებს ოპერატიულად ვერ წყვეტს და ეს არის კიდეც ჩვენი მისამართით არსებული სამართლიანი პრეტენზია. შესაძლოა, რაღაცას ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა, მაგრამ არც ვაფუჭებთ და ხალხსაც არ ვჩაგრავთ. რასაც უგულავა მერიაში აკეთებდა, იმას ნარმანია არასდროს გააკეთებს, რადგან მართლა პატიოსანი ადამიანია.

— თავის დროზე, ალბათ, უგულავაც პატიოსანი, მეტიც, სტიქაროსანი იყო.

— უგულავა რაც იყო, ის არის, „კმარელი“ ბიჭია, რომელიც უცებ მერი გახდა. უცხოელები „კმარას“ ფულს მაშინაც ურიცხავდნენ, ასე რომ, მსგავსი საკითხების ორგანიზება მისთვის უცხო არ არის. პასუხი ყველა დარღვევაზე უნდა მოეთხოვოს, თუმცა სხვა საკითხია, ამ საქმეს ბოლომდე თუ მიიყვანენ, ყოველ შემთხვევაში, მოსადავებელი ბევრია.

— გაჟღერდა მოსაზრება, რომ არჩევნების წინა დღეს კიდევ ერთი „ბობოლა“ ნაციონალის დაჭერა იგეგმება — გაქვთ ინფორმაცია?

— უგულავას მიმართ სამართალდამცველი ორგანოების ინტერესი დაგვიანებულიც კია. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ რადგან არჩევნებია, ვინც იმსახურებს, არ უნდა დავიჭიროთ. შეიძლება, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ შეეფარდოთ, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ არჩევნების მერე ეს ხალხი ქვეყანას დატოვებს. ამიტომ შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმოქმედონ.

— მესმის, გვარების დასახელება ძნელია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეებში, მამუკა ახვლედიანის, კობა სუბელიანისა და სხვათა ხელიც ერიოს — მერიის თემა უგულავას დაჭერით სრულდება?

— პროკურატურის მასალებს ამ დონეზე არ ვიცნობ, მაგრამ გამორიცხულია, მსგავსი თანამდებობრივი დანაშაულის დროს მარტო ერთი პირი იყოს დამნაშავე. თბილისის მერია ერთ კაცზე დაფუძნებული სისტემა არ ყოფილა — იქ იყვნენ მაკონტროლებლები, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ, სამსახურები, რომლებიც ამ ყელაფერში მონაწილეობდნენ. შესაძლოა, ყველა სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცეს, მაგრამ მათი ვინაობა უნდა გამოაშკარავდეს და ვინც უშუალოდ ამ პროცესში იყო ჩაბმული, უნდა დაისაჯონ. მათ შორის, შეიძლება იყვნენ სწორედ ის ადამიანებიც, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ. ეს ხალხი ან სულელია, ან დანაშაულის მონაწილე. შეუძლებელია, სისტემაში იყო და ეს ყველაფერი არ იცოდე. ვფიქრობ, „ოცნება“ თავისი ქმედებებით საზოგადოებას მართლაც არწმუნებს, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური სივრციდან გაქრება.

— რატომ გახდა ასეთი გასაიდუმლოებული და დროში გაწელილი, ვინ გახდება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე?

— მე პროვინციელი პოლიტიკოსი ვარ, აბა, რა ვიცი, ვინ იქნება საკრებულოს თავმჯდომარე თბილისში?!

— სამაგიეროდ, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე უკვე გეცოდინებათ. თანაც, ეს დროში გაწელილი პროცესი „ოცნების“ სასარგებლოდ არ მეტყველებს.

— რა არის ამაში კატასტროფული და საგანგაშო? კარგი იქნებოდა, სცოდნოდათ და სიაში ისეთი გამოკვეთილი ფიგურა ყოფილიყო, ვინც თავიდანვე დააფიქსირებდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობას აპირებს. თუმცა მე უკვე ვიცი, ვინც იქნება ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე — ჩაჩანიძე, ქალაქის მაჟორიტარი. საკრებულოს თავმჯდომარეობა განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის მქონე მაინც არ არის. მეც ვიყავი ბორჯომში 2002 წელს საკრებულოს თავმჯდომარე და პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ეს განსაკუთრებული არ იყო. სხვათა შორის, ამავე დროს ჩემი ძმა ბორჯომის მერი იყო და როგორ უნდა მეკონტროლებინა?! მერს მთელი სტრუქტურა აკონტროლებს და არა პერსონალია. ამას სხვადასხვა კომისიები, საკრებულოს სხდომები სჭირდება და არა ერთი კაცი.

— რა კონკრეტული საკითხები შეგიძლიათ ჩამომითვალოთ, რაც „ოცნებამ“ ორწლიანი მმართველობის პერიოდში ვერ შეძლო. თუ თქვენ ყველაფრით კმაყოფილი ხართ?

— ალბათ, მაინც სოციალურ-ეკონომიკური ფონი, დასაქმების პრობლემა. მართლა, რეალურად არსებობს გახსნილი საწარმოები, მაგრამ ეს ის რიცხვი არ არის, რითაც დეპუტატი კმაყოფილი უნდა იყოს. პრეტენზია, რაც მე ჩემი გუნდის მიმართ მაქვს, მოსახლეობასთან კომუნიკაცია დ ხალხის მიმართ დამოკიდებულებაა. ჩვენ და ხალხის პრობლემები ცოტა დისტანცირებულები ვართ, თუმცა იმედი მაქვს, თვითმმართველობის არჩევნების მერე სიტუაცია ცოტა გამოსწორდება. ქვეყანაში ძალიან ბევრმა უსამართლოდ დაჩაგრულმა ადამიანმა ისევ ვერ იპოვა სამართალი. არ ვამბობ, მე რომ მეტი ძალაუფლება მქონდეს, მეტს შევძლებდი-მეთქი, მაგრამ ხალხს, ვინც ზიანი მიიღო, ეს ზიანი უნდა აუნაზღაურდეს და ხელისუფლების ვალდებულებაა, ეს ცოტა სწრაფად გააკეთოს. სამწუხაროდ, ამ საკითხში ჩვენ მოვიკოჭლებთ.

— ისე, მეჩვენება თუ ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა თქვენი და უმრავლესობის ურთიერთობაზე იმოქმედა და მას მერე ისე აქტიურად აღარ ჩანხართ?

— თქვენ ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ? ამაზე აქამდე არ მიფიქრია, ახლა დავფიქრდი.

შსს-ს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლება ჩატარდა

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შსს-ს აკადემიის ხელშეწყობით ჩატარდა სწავლება საკითხებზე – **„კანონი პოლიციის შესახებ და კონფლიქტის მენეჯმენტი, ფსიქოლოგიური ასპექტები, პოლიციის ეთიკის კოდექსი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისი ცალკეული დანაყოფების საქმიანობა“.**

სწავლების მიზანია პირადი შემადგენლობის მომზადება, როგორც სტრესული სიტუაციებისთვის, ასევე, მათი ქცევის ზოგადი წესებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარება.

აღნიშნული სახის სწავლება სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის რეგულარულად ტარდება.

„ვერსიანიუსი“

ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, პოლიტიკურ სისტემაში ბალანსი უნდა არსებობდეს

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასოცირების დღის წესრიგი გამოაქვეყნა. დღის წესრიგის პრიორიტეტების ნაწილში პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმის განხორციელებაზეა საუბარი. იგულისხმება დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, მათ შორის უმცირესობების უფლებების დაცვის პატივისცემის გაძლიერება, გაერო-სა და ევროსაბჭოს ძირითადი კონვენციებისა და შესაბამისი ოქმების შესაბამისად; ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით შიდაპოლიტიკური რეფორმების კონსოლიდაციის ხელშეწყობა. აღნიშნულ სფეროებში წარმატების მიღწევა კი შემდეგი გზით უნდა მოხდეს: არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ჩარჩოსა და საარჩევნო ადმინისტრირებაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა (IATF) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ნაკლოვანების აღმოფხვრა, მათ შორის 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებით: **„კონსტიტუციური ცვლილებების (საჭიროების შემთხვევაში) განხორციელება ქვეყნის შიგნით და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან ყოველმხრივი კონსულტაციების შედეგად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ცვლილებების მდგრადობა; კონსტიტუციის მოქნილობასა და სტაბილურობას შორის ბალანსის გაუმჯობესება და პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილებების გაძლიერება ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად; კონსტიტუციის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის როლების პატივისცემის უზრუნველყოფა; პოლიტიკურ სისტემაში შესაბამისი კონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო გადადის ნახევრად საპრეზიდენტოდან საპარლამენტო სისტემაზე. პარლამენტის როლისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების გაგრძელება“.**

„პირველი“

შსს-ს აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ განათლების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზაცია მიიღო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა.

უახლოეს მომავალში შსს-ს აკადემიაში საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება. პროგრამის მიზანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისთვის მოამზადოს საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი, საპოლიციო ფუნქციების განმახორციელებელი, აკადემიური განათლების მქონე თანამშრომლები, რომლებიც იქნებიან კანონის უზენაესობის, დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების მატარებელნი.

დეტალური ინფორმაცია შსს-ს აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე და მიღების პროცედურების შესახებ განთავსებულია შსს-ს აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

„ვერსიანიუსი“



„აბრეშუმის გზა, თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი“

ბიზნესპორტალი routesonline.com საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის, აბრეშუმის გზის პროგრამის შეხვედრას ეხმაურება.

კონფერენცია მასშტაბური საავიაციო ფორუმის, Routes Silk Road 2014 ფარგლებში იმართება. შეხვედრას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მასპინძლობს.

routesonline.com-ის რედაქტორი, რიჩარდ მასლენი თბილისურ შთაბეჭდილებას მკითხველს უზიარებს: **„დილით, როდესაც თბილისში მზე აცხუნებდა, აბრეშუმის გზის პროგრამის დელეგატებს საქართველოს დედაქალაქში გასეირნების საშუალება მიეცათ. თბილისის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად და ისტორიის გასაცნობად ტური მოეწყო. ექსკურსია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა. ავიაკომპანიებისა და აეროპორტების წარმომადგენლები თბილისის ისტორიულ ნაწილს ესტუმრნენ...**

...ეს არის ევროპის სამხრეთ კიდეში მდებარე, მეხუთე საუკუნეში დაარსებული ქალაქი. იმის გამო, რომ თბილისი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ სარფიან სავაჭრო გზაზეა, ქალაქი მთელი ისტორიის განმავლობაში იმპერიების ბრძოლის ცენტრს წარმოადგენდა. გლობალურ ენერგო და სავაჭრო პროექტებში დღეს თბილისს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია აქვს. საქართველოს დედაქალაქი მრავალფეროვანი არქიტექტურით გამოირჩევა, რომელიც შეზავებულია, შუასაუკუნეების, კლასიკური და საბჭოთა ნაგებობებით...

ისტორიულად, თბილისი სხვადასხვა ეთნოსის, კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლების საცხოვრებელ ქალაქს წარმოადგენს, თუმცა მართლმადიდებლობა დომინირებს. ტურისტებისათვის გამორჩეული მარშრუტებია: სამების საკათედრო ტაძარი, სიონის ეკლესია, თავისუფლების მოედანი, ნარიყალა, ოპერა და ეროვნული მუზეუმი. დელეგატები აღფრთოვანებულები არიან იმ შეთავაზებით, რაც ამ ქალაქს გააჩნია"

„აქ არის ძველის და ახლის, ტრადიციულობისა და მოდერნიზმის წარმოუდგენელი ნაზავი, თბილისს აქვს უნიკალური ლანდშაფტი და ატმოსფერო“, — აცხადებს შტუტგარტის აეროპორტის, მიმოსვლის განვითარების ხელმძღვანელი თომას ჰელტონი.

თბილისით აღფრთოვანებულია ბუდაპეშტის აეროპორტის ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელი ბალაზ ბოგატი: **„თბილისით გაოცებული ვარ. ჩემს გონებაში მქონდა წარმოდგენა ამ ქალაქის შესახებ, მაგრამ რაც ვნახე, ვერც კი შეედრება ჩემს წარმოდგენას. ეს არის მდიდარი, მრავალფეროვანი სტილისა და კულტურის ქალაქი, ეს მართლაც რომ მშვენიერი ადგილია“.**

„პირველი“

რუსუდან შელია
557-100-768

2005 წლიდან სამოქალაქო სექტორში აქტიურობს, 2011-2013 წლებში საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი და საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. თუ ზოგიერთები პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში ინაცვლებენ, მის შემთხვევაში პირიქით მოხდა — 2014 წლის პირველი აპრილიდან უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩევლად დაინიშნა, დღეს კი, ირინა იმერლიშვილის მოადგილის თანამდებობას იკავებს. „ვერსიასთან“ ცნობილი ჟურნალისტის, დავით აქუბარდიას ქალიშვილი თეონა აქუბარდია ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მნიშვნელობაზე, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე, უშიშროების საბჭოს მუშაობაზე საუბრობს.

რატომ არ ტარდება უშიშროების საბჭოს სხდომა და რომელ პოლიტიკურ ძალას იყენებს რუსეთი საქართველოში გეგმის განსახორციელებლად

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მასში მითითებული პუნქტების სრულყოფილად შესრულების შედეგად, საქართველოს თითოეული მოქალაქე მიიღებს სიკეთეს. იგულისხმება დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება, ეკონომიკური რეფორმების გატარება, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დამყარება ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღება... საბოლოო შედეგის მისაღებად ბევრი რამაა გასაკეთებელი, რისთვისაც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას 24-საათიან რეჟიმში მოუწევს მუშაობა. საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია მოსახლეობის არჩევანია, ამიტომ ეს შეუქცევადი პროცესია.

— ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ფონზე, ხელისუფლება ნაკლებად საუბრობს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე. ამ საფრთხეებს ვერ ხედავთ?

— ის, რომ რუსეთიდან საფრთხეები არსებობს, სიახლე სულაც არ არის და ეს ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებშიცაა ასახული. აგვისტოს ომი ცოტა ხნის წინ გამოვიარეთ, რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, სადაც რუსული სამხედრო ბაზები უკანონოდ დგას. მნიშვნელოვანია, საფრთხეები იმ რეფორმებმა შეამციროს, რომელიც ხელისუფლებამ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ფარგლებში უნდა გაატაროს. სწორედ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია მოგვცემს ბერკეტებს ამ საფრთხეების შესამცირებლად.

— ევროპასთან დაახლოების პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება რუსულ ბაზარზე. საქართველოში რუსი ინვესტორები და ექსპერტები შემოდიან, მრგვალ მაგიდას მართავენ და საზოგადოებას არწმუნებენ, რომ მთავარი ოკუპანტი რუსეთი კი არა, თურქეთია.

— შევთანხმდეთ, რომ ოკუპანტი რუსეთია — მას საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ეს ფაქტი მთელმა მსოფლიომ აღიარა. რა თქმა უნდა, რუსეთი თავისი მიზნების განსახორციელებლად მის ხელთ არსებულ ბერკეტებს იყენებს. ამ კონტექსტში შედიოდა 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს ამუშავება, როცა რუსული ბაზრიდან ქართული პროდუქცია გამოიდევნა, ხოლო ეთნიკური ქართველები რუსეთიდან გამოაძევეს. ქართველების ეთნიკური ნიშნით შევიწროება სტრაბუსრგის სასამართლომაც აღიარა. ამ გამოცდილების ფონზე, აუცილებელია, ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ რუსულ ბაზარზე არ იყოს დამოკიდებული. ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი სწორედ 2006 წლის მოვლენების განმეორებისგან დაგვიცავს. რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ ენერგეტიკული რესურსებიც არ გააჩნია, რადგან საქართველომ მოახერხა, მიეღწია ენერგოდამოუკიდებლობისთვის.

— სწორედ ამას გეკითხებით. სანამ ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე გავა, ვაძლევთ რუსეთს შესაძლებლობას, 2006 წლის მოვლენები გაიმეოროს?

— რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები განახლდა, რაც რუსულ ბაზარზე ქართული მინერალური წყლის, ღვინის, ხილის შეტანით შემოიფარგლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებას. ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ რუსეთს კვლავ შეუძლია, ეკონომიკური თემები საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს, როგორც ამას უკრაინაში აკეთებს. შესაბამისად, დივერსიფიცირების პრობლემებზე მუშაობა საქართველოში მიმდინარეობს. ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ამ პროცესს შეუქცევადს გახდის.

— ვერც იმაში ხედავთ საფრთხეს, რომ საქართველოში რამდენიმე დღის წინ, 2008 წელს რუსეთის დაზვერვის უფროსის დაფინანსებით ჩამოსული ჯგუფი შეხვედრებს მართავს და ევრაზიული ინსტიტუტის გაძლიერებაზე საუბრობს?

— ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს. თუ საქართველოში რუსული დაზვერვის წარმომადგენელი შემოვიდა, შესაბამისმა უწყებებმა ადეკვატური ზომები უნდა მიიღონ.

— მერე ნორმალურია, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ამის შესახებ ინფორმაცია რომ არ აქვს?

— როგორც გითხარით, ამ კონკრეტული შეხვედრის შესახებ არაფერი ვიცი... ზოგადად, თუ რუსეთი ევრაზიული ინსტიტუტის გაძლიერებას ცდილობს, კანონს არღვევს და ქვეყნისთვის საშიშ პოლიტიკას ატარებს, შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმოქმედონ. მთავარია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციას უჭერს მხარს, რუსული იდეა კი პოპულარობით არ სარგებლობს. ქართველებმა იციან, რომ რუსეთი ოკუპანტია.

— თქვენგან განსხვავებით, მსგავს მკვეთრ შეფასებებს კოალიციაში ერიდებიან. ნინო ბურჯანაძე ცდილობს, გააქტიუროს კითხვა: ევროპასთან დაახლოებას რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხომ არ სჯობს?

— საქართველოს უახლოესი წარსული ნათლად გვაჩვენებს, რომ რუსეთი საქართველოს გაძლიერებით დაინტერესებული არასოდეს ყოფილა. ევროკავშირსა და რუსეთს შორის განსხვავებაც ისაა, რომ დასავლეთი საქართველოს თანასწორ პარტნიორად განიხილავს, მის ღირებულებებსა და იდენტობას პატივს სცემს. სამწუხაროდ, რუსეთზე იგივეს ვერ ვიტყვით. რუსეთი ყოველთვის ეცდება, მისთვის სასარგებლო განცხადებები მის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალების მეშვეობით გააჟღეროს და საზოგადოების ნაწილი მაინც დაარწმუნოს, რომ დასავლური კურსი გამართლებული არ არის.

— ანუ, თქვენი, როგორც უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ოფიციალური პოზიციაა, რომ ნინო ბურჯანაძე რუსეთისგან მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალაა?

— ეს საზოგადოებამ უნდა განსაჯოს. საბედნიეროდ, არსებობენ პროდასავლური ძალები, რომელსაც მოსახლეობა მხარს უჭერს.

— მსგავსი გამოწვევების ფონზე, ექვსი თვის განმავლობაში რატომ ვერ მოხერხდა უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვა?

— საზოგადოებას უშიშროების საბჭოს სხდომასა და ზოგადად, საბჭოს ფუნქციაზე სრული ინფორმაცია არ აქვს. უშიშროების საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, ამიტომ სხდომის მოწვევაც პრეზიდენტის პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის ცვლილების შემდეგ, ფუნქციები პრეზიდენტსა და მთავრობას შორის გაიყო. პრეზიდენტს აქვს კომპეტენცია, რაც საგანგებო საომარი ვითარების შემოღებასა და უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება. „შეკრება შეკრებისთვის“ საბჭოს მოწვევისთვის საკმარისი მიზეზი ვერ გახდება. სხვა მხრივ კი, საბჭო პრეზიდენტს რეკომენდაციებს აწვდის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ უშიშროების საბჭოს სხდომა არ იკრიბება, არ ნიშნავს, რომ საბჭოს აპარატი არ მუშაობს.

— თუმცა, პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ღიად საუბრობდა, რომ უშიშროების საბჭო მთავრობასთან კოორდინაციის არარსებობის გამო ვერ გაიმართა. ეს საკითხი ქვეყნის სტაბილურობას არ უქმნის საფრთხეს?

— მიმდინარე საკითხები კანონმდებლობით რეგულირებადია, ამიტომ აუცილებელი არაა საბჭოს სხდომის მოწვევა. სხვა მხრივ, საბჭოს წევრებთან კონსულტაციები, ყველა საკითხზე, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, რეგულარულად გვაქვს. მაქსიმალურად ვეცდებით, საზოგადოებას საბჭოს საქმიანობაზე ინფორმაცია მივაწოდოთ.

— გიგა ბოკერიას დროს, უშიშროების საბჭოში გაფლანგული თანხების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. რა ეტაპზეა საქმე ამ მიმართულებით?

— ამ საკითხზე ინფორმაცია არ მაქვს.

— ისე, გიგა ბოკერიას მუდმივად აკრიტიკებდნენ, რადგან თანამდებობაზე ყოფნისას, მისი მეუღლე პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორი გახლდათ. თქვენ არ გექმნებათ უხერხულობა იმის გამო, რომ თანამდებობაზე ხართ, მამათქვენი კი, იმავდროულად, ტელეწამყვანია?

— 2005 წლიდან თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ, ამიტომ ვფიქრობ, მაქვს უფლება, მამის პროფესიის მიუხედავად, ჩემი საქმე ვაკეთო. პრობლემა არაა, მამა რომ ტელეწამყვანია, მე კი — უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საახალწლოდ გაფლანგული მილიონები, რომლითაც უგულავას პროკურატურა ბრალს დაუმძიმებს

რა პოსტი ეკავა თბილისის მერიაში და რა სასჯელი ელის ლელა კილაძეს



სახელმწიფო აუდიტმა გამოძიებას სკანდალური დასკვნა გადაუგზავნა

„ვერსია“ განაგრძობს იმ მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთავარ პროკურატურას გადასცა. ამჯერად, თბილისის მერიის მიერ, საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებისთვის, 2006-2010 წლებში, თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების შესაბამისობის ანგარიშს გთავაზობთ. თბილისის კულტურული ღონისძიებების, განსაკუთრებით, საახალწლო კონცერტების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის განათება და ყველა საახალწლო აქსესუარის უზრუნველყოფა გიგი უგულავას მეუღლის, ლელა კილაძის კომპეტენციაში შედიოდა — 2009 წლიდან ლელა კილაძე თბილისის მერიის ადმინისტრაციაში სწორედ კულტურულ ღონისძიებებს კურირებდა; მოგვიანებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაინაცვლა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზების საკითხებში, საკაშვილის მრჩეველის პოსტი დაიკავა, 2006-2010 წლები კი ის პერიოდია, როცა თბილისში (ბათუმშიც) არც ისე მაღალი დონის საახალწლო კონცერტები იმართებოდა. ბევრს საუბრობდნენ და ახლა უკვე სახელმწიფო აუდიტების სკანდალური დასკვნითაც დასტურდება, რომ თბილისის მერიის მიერ, საახალწლო ღონისძიებებისთვის ტენდერები ფორმალურად ცხადდებოდა. აუდიტის დასკვნაში არაერთი შესყიდვის ფაქტია განხილული, როდესაც ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობს. ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ტენდერში მონაწილე ორ კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავს. ამ ფონზე, საინტერესოა, დადგება თუ არა გიგი უგულავას მეუღლის პასუხისმგებლობის საკითხი და გამოძიების პროცესში, მოუწევს თუ არა ლელა კილაძეს დაკითხვებზე სიარული.

„ვერსია“ დეტალურად განიხილავს დასკვნას, რომელიც ნათელს მოჰფენს, როგორ და რა პრინციპით იგეგმებოდა საახალწლო ღონისძიებები, რატომ ყიდულობდნენ კომპანიები უხარისხო გირლანდებს, რატომ იხდიდა თბილისის მერია სხვადასხვა ფასს დეკორატიულ ნაძვისხეებში და რა მიზეზით იმართებოდა თბილისში მდარე ხარისხის კონცერტები.

დარღვევები საახალწლო ილუმინაციების შესყიდვაში

აუდიტით დადგინდა, რომ 2006-2010 წლების ქალაქგაფორმების წლიური ბიუჯეტის მიზნობრივ პროგრამებსა და ღონისძიებებს დაგეგმვისას პრობლემებია. პარალელურად, დამტკიცებულ მაჩვენებლებში ხშირად შეჰქონდათ ცვლილებები და საბიუჯეტო ასიგნებების ხშირი შიდაკვარტალური გადანაწილება ხდებოდა. 2006-2010 წლებში, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებული ილუმინაციებისა და სხვა აქსესუარების შესყიდვებში, ძირითადად, შუამავალი ფირმები (მომწოდებლები) მონაწილეობდნენ. ცალკეულ შემთხვევებში, გამოცხადებულ ტენდერებში, ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური პირები მონაწილეობდნენ. ამის გამო, არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების, მიწოდებული საქონლისა და სამუშაოების ფასების მაღალ დონეზე ხელოვნურად შენარჩუნებისა და ფირმებს შორის წინასწარი გარიგებების შესაძლებლობებისთვის მომეტებული რისკი შეიქმნა.

2006-2010 წლებში, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაცია, ჩვეულებრივ, 2-3 პრეტენდენტს შეჰქონდა, მაგრამ რეალურად, ტენდერში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა. ამის გამო, ტენდერით შესაძენი საქონლისა და სამუშაოს სავარაუდო ღირებულება, რომელიც შემსყიდველის მიერ, წინასწარ იყო განსაზღვრული, პრაქტიკულად, არ მცირდებოდა. 2007 წლის შობა-ახალი წლისთვის, დედაქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოსართავად, ილუმინაციების შესყიდვაზე, 2006 წლის დეკემბერში ჩატარებულ ტენდერში მონაწილეობა „არტ ლაინ თრეველმა“ მიიღო და გაიმარჯვა კიდეც. ამ კომპანიასთან 560 200 ლარის ხელშეკრულება გაფორმდა. პარალელურად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ერთ პირთან მოლაპარაკების შედეგად, დამდეგ 2007 წელს, შპს „არტ ლაინ თრეველს“ დამატებით 230 800 ლარის ღირებულების გასაბერი საახალწლო სათამაშოებისა და მოსართავი საშუალებების შესყიდვაც დაევალა. 2006 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებით, 227 900 ლარად, ამავე კომპანიისგან 25-მეტრიანი ნაძვისხე, თანმდევი მომსახურებით შეისყიდეს. ამ შესყიდვების მიხედვით, შპს „არტ ლაინ თრეველის“ მიერ იმპორტირებული საქონლის მიწოდების შედეგად მიღებულმა მოგების მარჟამ 15%-ს გადააჭარბა.

2008 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვაზე, 2007 წლის 15 ოქტომბერს ჩატარებულ ტენდერში, ორი პრეტენდენტი — შპს „არტ ლაინ თრეველი“ და შპს „ოქსინო“ მონაწილეობდნენ. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად შპს „ოქსინო“ გამოცხადდა. 2007 წლის 1 ნოემბერს, ამ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა. შესყიდვის მიხედვით, იმპორტირებული საქონლის მიწოდების შედეგად, შპს „ოქსინოს“ მოგების მარჟამ 18.3% შეადგინა. 2009 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2008 წელს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია სამმა პრეტენდენტმა — შპს „ჩიბიმ“, შპს „ოქსინომ“ და შპს „არტ ლაინ თრეველმა“ წარადგინეს, სატენდერო წინადადება კი მხოლოდ შპს „ჩიბიმ“ შეიტანა. შესაბამისად, 2008 წლის 11 ნოემბერს, ტენდერში გამარჯვებულად შპს „ჩიბი“ გამოცხადდა. „ჩიბიმ“ ტენდერის სავარაუდო ფასთან შედარებით, 112 400 ლარით ნაკლები დააფიქსირა და იმავე წლის 27 ნოემბერს, ამ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა. შპს „ჩიბიმ“ 1 214 100 ლარის ღირებულების საახალწლო ილუმინაციები საქართველოში, ამავე ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი პრეტენდენტისგან, შპს „არტ ლაინ თრეველისგან“ შეიძინა. სინამდვილეში, შპს „ჩიბიმ“ საახალწლო ილუმინაციები „არტ ლაინ თრეველისგან“ 1 126 500 ლარად იყიდა, მაგრამ თბილისის მერიას 1 241 100 ლარად მიაწოდა. აუდიტით დადგინდა, რომ „ჩიბის“ მიერ, მერიისთვის მიწოდებული 385 700 ლარის ღირებულების, 9 დასახელების, სხვადასხვა საახალწლო კონსტრუქციები თბილისში, ადგილობრივმა კომპანიებმა — შპს „პროცესორმა“, შპს „მერწყული 7“-მა და „3 MG“-იმ დაამზადეს. ამ კომპანიებს „ჩიბიმ“ 105 700 ლარი გადაუხადა! ამ შესყიდვების შედეგად, „ჩიბის“ მოგების მარჟა 16.6% იყო.

2010 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2009 წლის 28 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია ორმა კომპანიამ — შპს „კრედომ“ და შპს „ნებიმ“ წარადგინა, სატენდერო წინადადება კი — შპს „კრედომ“. 2009 წლის 19 აგვისტოს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ტენდერში გამარჯვებულად შპს „კრედო“ გამოვლინდა, რომელმაც სავარაუდო ფასთან შედარებით, 800 ლარით ნაკლები ღირებულება დააფიქსირა. ამ შესყიდვის შედეგად, შპს „კრედოს“ მოგების მარჟა 26% იყო.

2011 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2010 წლის 13 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია წარადგინეს შპს „საქართველოს საფინანსო კომპანიამ“, შპს „თ.ფ“-მ, შპს „ბასიანმა“ და შპს „სითი ლაითმა“. ამ კომპანიებიდან სატენდერო წინადადება შპს „სითი ლაითმა“ წარადგინა, რომელიც 2010 წლის 10 აგვისტოს, ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადეს. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „სითი ლაითი“ 2010 წლის 23 ივლისს, ანუ ტენდერის გამოცხადებიდან, 10 დღის შემდეგ დაფუძნდა, რაც ნიშნავს, რომ 13 ივლისს, სატენდერო წინადადება წარადგინა კომპანიამ, რომელიც ჯერ კიდევ დაფუძნებული არ ყოფილა! შესყიდვის შედეგად, შპს „სითი ლაითის“ მოგების მარჟა 21.4% იყო.

უხარისხო გირლანდები და დეკორატიული ნაძვის ხეები

2006 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ა.ნ.ი“-მ, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ დღეში, ანუ 2006 წლის 25 დეკემბერს, დაამზადა და თბილისის მერიას მიაწოდა 415 200 ლარის ღირებულების 44 ცალი საშობაო პავილიონი (ერთი ცალი პავილიონის საშუალო ფასი — 9 043 ლარი). 2007 წლის 24 დეკემბერს, შპს „ა.ნ.ი“-ს მიერ, მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით, 44 პავილიონიდან, მხოლოდ 29 ცალი პავილიონი აღადგინა. ამ პავილიონებიდან, 2008 წელს, 12 ერთეული შპს „ზოოლოგიურ პარკს“ გადასცეს. თბილისის მერიის მიერ დაქირავებულმა დამოუკიდებელმა აუდიტორმა, შპს „კომპაუდმა“, ეს პავილიონები 32 900 ლარად შეაფასა. ამავე კომპანიის ანგარიშის მიხედვით, 2008 წელს მოქმედი საბაზრო ფასებით, თითოეული ასეთი პავილიონის დამზადებას 4 100 ლარი დასჭირდებოდა. აუდიტორული კომპანიის მიერ შეფასებული ერთეული პავილიონის დამზადების ფასსა და მისი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა, 5 033 ლარი იყო.

2007 და 2009 წლებში შესყიდული 20 პავილიონიდან, თითოეული დამზადების ღირებულება, შესაბამისად, 20 300 ლარი და 21 300 ლარი იყო. სახელმწიფო აუდიტები ასკვნიან, რომ ყოველწლიურად, თბილისის მერია დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს ხარჯავდა და ამიტომ ფიქრობენ, რომ მერიას ასეთი შესყიდვები საერთოდ არ უნდა განეხორციელებინა; მეტიც — ასეთი სახის სავაჭრო პავილიონები მერიის ბალანსზე არც კი უნდა ყოფილიყო, ამ ტიპის საქმიანობა კერძო სექტორს უნდა განეხორციელებინა, რადგან სწორედ კერძო სექტორია დაინტერესებული საკუთარი პროდუქციის რეკლამითა და რეალიზაციის მოცულობის გაზრდით.

2007 წელს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟზე, დემონტაჟსა და მხატვრული მინათების სამუშაოებზე, თბილისის მერიამ 453 300 ლარი, 2008 წელს — 215 500 ლარი, 2009 წელს — 144 200 ლარი, ხოლო 2010 წელს — 131 800 ლარი დახარჯა. 2007 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულებით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „აპრიორისგან“, თბილისის მერიამ 189 300 ლარის ღირებულების მომსახურება შეისყიდა. ამ ფასად, შპს „აპრიორმა“, თავისუფლების მოედანზე, დეკორატიული ნაძვისხის მხატვრული მინათების სამუშაოები შეასრულა.

მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული საქონლის ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ თბილისის მერიამ, შპს „აპრიორისგან“, 88 000 ლარის ღირებულების მანათობელი გირლანდები შეისყიდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ გირლანდების საწყობში განთავსება არ ფიქსირდება და ისინი არც ბუღალტრულად აღურიცხავთ. გირლანდების მონტაჟის მიზნით, 5 დღის მანძილზე, მემონტაჟე მუშებს, მათ შორის, მთამსვლელების შრომის ჩათვლით, ხელფასის სახით, 32 000 ლარი გადაუხადეს, რაც დღეში 6 400 ლარი გამოდის.

2007 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულებით, თბილისის მერიამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „დავითი და კომპანიისგან“ 270 100 ლარის მომსახურება მიიღო. ამ კომპანიამ თავისუფლების მოედანზე, დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის, ასევე საკონცერტო სცენის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოები შეასრულა. 2008 წელს, შობა-ახალი წლის ღონისძიებებისთვის, თბილისის მერიამ შპს „დავითი და კომპანიას“, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებში 24 000 ლარი გადაუხადა. მომდევნო წლებში, თბილისის მერია, შპს „თბილქალაქგანათებას“, ყველანაირ ტრანსპორტზე, მათ შორის ამწეზეც, რომლებითაც კომპანიას მონტაჟის, დემონტაჟისა და მხატვრული მინათების სამუშაოები უნდა შეესრულებინა, 9 000 ლარს უხდიდა.

2008 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულებით, თბილისის მერიამ შპს „თბილქალაქგანათებას“ 183 800 ლარი გადაუხადა. კომპანიამ თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე, დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის კონსტრუქციებისა და მისი მხატვრული მინათების სამუშაოები შეასრულა. შპს „თბილქალაქგანათებამ“, თბილისის მერიას, 49 400 ლარის ღირებულების, 14 100 მეტრის უხარისხო გირლანდები მიაწოდა, რომლებიც დემონტაჟის შემდეგ ჩამოწერეს და გაანადგურეს! აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2008, 2009 და 2010 წლებში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული ნაძვის ხის მონტაჟის, დემონტაჟისა და მხატვრული მინათების სამუშაოებს შპს „თბილქალაქგანათება ერთი და იგივე ფასად ასრულებდა.

საახალწლო კონცერტები და განათება-გახმოვანება

2007 წლის 13 დეკემბერს, თბილისის მერიამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „არტ ჯისთან“ სცენების განათება-გახმოვანებაზე ხელშეკრულება გააფორმა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „არტ ჯი“ 2007 წლის 5 დეკემბერს, ანუ მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე 8 დღით ადრე დაფუძნდა და სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა. 2008 წლის საახალწლო ღონისძიებების მოსაწყობად, შპს „არტ კომპანისა“ და შპს „არტ ჯისგან“, მერიამ საკონცერტო სცენების განათებისა და გახმოვანების (ცოცხალი შესრულება) მიზნით, 556 100 ლარის ღირებულების მომსახურება შეიძინა. ეს თანხა, 14 დღის მანძილზე, ოთხ სხვადასხვა ადგილზე კონცერტის განათება-გახმოვანებით უზრუნველყოფას მოიცავდა.

დასასრული მე-6 გვერდზე

დიპლომატ მამუკა გამყრელიძის სკანდალური პროგნოზები

გამოიყენებს თუ არა ისრაელი „ჰამასის“ წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს და რა როლს შეასრულებს ახლო აღმოსავლეთში დაწყებულ ომში საქართველო?

რუსუდან შელია
557-100-768

უკრაინის შემდეგ, მსოფლიოში ახალი ცხელი წერტილი ჩნდება — ისრაელსა და პალესტინურ ორგანიზაცია „ჰამასს“ შორის დაპირისპირება, 2012 წლის შემდეგ, მორიგ კულმინაციას აღწევს. „ჰამასმა“ კვლავ დაუშინა რაკეტები ისრაელის ტერიტორიას, ისრაელი კი, თუ ექსტრემისტების სარაკეტო დარტყმებს ბოლო არ მოეღო, ღაზას სექტორში შეჭრით იმუქრება. მთავრობამ არმიაზე 40 000-მდე რეზერვისტის მობილიზაციის ბრძანება უკვე გასცა. უცხოეთში შეშფოთებით ადევნებენ თვალს ისრაელსა და პალესტინას შორის დაპირისპირების გამწვავებას. ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და გაერო მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებენ, არაბთა ლიგა კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას მოითხოვს. ვითარება ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის მას შემდეგ დაიძაბა, რაც სამი კვირის წინ, სამი ებრაელი მოზარდი გაიტაცეს და მოკლეს. ისრაელმა „ჰამასი“ დაადანაშაულა და ორგანიზაციის ასობით აქტივისტი დააპატიმრა. გადაიზრდება თუ არა ლოკალური დაპირისპირება ფართომასშტაბიან ბრძოლაში და რა როლს შეასრულებს ამ პროცესში საქართველო, „ვერსიასთან“ დიპლომატი მამუკა გამყრელიძე განმარტავს.

— ვითარების ნებისმიერი გამწვავება ისეთ ფეთქებად რეგიონში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია, რა თქმა უნდა, არასასურველია. დარწმუნებული ვარ, ისრაელის პრემიერის, ბენიამინ ნეთანიაჰუს გეგმებში მდგომარეობის ესკალაცია არ შედიოდა. პირიქით, ცდილობდა, პალესტინასთან მოლაპარაკებებითა და პალესტინის ავტონომიის მეთაურ მაჰმუდ აბასზე მეთოდური ზეწოლით შეესუსტებინა აბასის პარტია „ფათჰსა“ და „ჰამასს“ შორის პოლიტიკური კავშირი. სამწუხაროდ, „ფათჰის“ კონტროლირებად რაიონში, სამი ებრაელი ახალგაზრდის ტრაგიკულმა სიკვდილმა ვითარება უკიდურესად დაძაბა და რადიკალურად განწყობილ ებრაელ პოლიტიკოსებს საშუალება მისცა, ინიციატივა ხელში აეღოთ. ნეთანიაჰუ იძულებული გახდა, ხისტი პოზიცია დაეჭირა. სარაკეტო დარტყმებს პალესტინელების მხრიდანაც მოჰყვა მსხვერპლი, მათ შორის ბავშვებიც არიან. სამწუხაროდ, პესიმისტური სცენარის განვითარებას ველი და არ მგონია, ვითარება მალე დამშვიდდეს.

— ისრაელი და ირანი დიდი ხანია ცივი ომის რეჟიმში ურთიერთობენ. არსებობს საფრთხე, რომ ირანი „ჰამასს“ პოზიციების დაცვაში დაეხმარება და დაპირისპირება მასშტაბურ სახეს მიიღებს?

— ბოლო წლებში ირანმა დიდ წარმატებებს მიაღწია დასავლეთთან ურთიერთობის განმუხტვაშიც. ამას ხელი შეუწყო ახალი, შედარებით ლიბერალურად განწყობილი პრეზიდენტის, ჰასან რუხანის პოლიტიკამ. ყველაფერი ეს აისახება ირანის მიმართ ემბარგოს შერბილებაში, რაც ირანის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ირანი ერთი ხელის მოსმით ამ ძალისხმევას წყალში ჩაყრის და ისრაელთან ღია დაპირისპირებაში ჩაერთვება. რაც შეეხება „ჰამასის“ მატერიალურ დახმარებასა თუ იარაღით აღჭურვას, ამას იგი როგორც აკეთებდა, ისევე გააგრძელებს.

— ჯერჯერობით, დასავლეთი დამკვირვებლის სტატუსს ინარჩუნებს, თუმცა ისრაელმა ამერიკისა და ევროპისგან უპირობო მხარდაჭერა მიიღო. თუ დაპირისპირება გამწვავდა, დასავლეთი შეშფოთებიდან აქტიურ ქმედებაზე გადავა?

— დასავლეთი, ტრადიციულად, შეშფოთებულია... ბებერი ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც კიდევ ერთი ახალი ცხელი კერის გააქტიურება ძალიან მტკივნეული შეიძლება გახდეს. თუ მოხდება პროცესის ესკალაცია, არ გამოვრიცხავ, დასავლეთის ყურადღება უკრაინაში მიმდინარე პროცესებიდან ახლო აღმოსავლეთზე გადმოერთოს. ეს ხელს აძლევს მხოლოდ რუსეთის მთავრობას. რუსეთის გავლენა ირანსა და აქედან გამომდინარე, „ჰამასზე“ ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მარტივ ლოგიკურ ჯაჭვს თუ გავყვებით, კრემლამდე მიგვიყვანს. დანაშაულის გახსნისას მთავარი მოტივის გარკვევაა, ამიტომაც, ჩემი მოკრძალებული აზრით, აქაც ვითარების გამწვავებაში მოსკოვის ხელი ურევია.

— თუ ასეა, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი საქართველოზე ან რა როლი დაეკისრება ჩვენ ქვეყანას, თუ რუსეთი დაპირისპირების გამწვავებას უკრაინიდან ახლო აღმოსავლეთზე ყურადღების გადასატანად გეგმავს?

— თუ ეს ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება ლოკალურს გაცდება, ნიშნავს, რომ მასში ჩაებმება არაბული სამყაროს დიდი ნაწილი და ირანი. შესაბამისად, სავარაუდოდ, ისრაელი იძულებული გახდება, გამოიყენოს ბირთვული იარაღი. აქედან გამომდინარე, საქართველოს როლი მხოლოდ სტატისტის ან დევნილების მიმღები ქვეყნის სტატუსით შემოიფარგლება. ასეთი სცენარი უკიდურესად არარეალურად მეჩვენება. დაპირისპირება იქნება მძიმე და, შესაძლოა, დიდი მსხვერპლითაც, მაგრამ კვლავ ლოკალურ ფარგლებში დარჩება.

— ახლო აღმოსავლეთში დაწყებული ომის პარალელურად, საქართველოში ჯეიმს აპატურაი უელსის სამიტისთვის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის ჩამოდის. დასავლეთისთვის გაჩენილი ახალი თავისტკივილის ფონზე, საქართველო აქტუალობას ინარჩუნებს?

— ჯეიმს აპატურაიმ საქართველოში ნატო-სთან თანამშრომლობის ახალი, უფრო გაფართოებული პაკეტი ჩამოიტანა. სწორედ მისი განხილვა მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობასთან. ეს პაკეტი სპეციალურად ჩვენთვის შეიქმნა, რათა, როგორც იტყვიან, მწარე აბი ცოტათი მაინც დაატკბონ. საქართველოს ნატო-სთან თანამშრომლობის პრობლემები, ტექნიკური თვალსაზრისით, არც ადრე ჰქონია. პირიქით, სხვა ასპირანტ ქვეყნებთან შედარებით, უფრო მომგებიანად გამოვიყურებით. ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ნატო-სთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება, რასაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნატო ვერ გვთავაზობს. ამ ფონზე, ძალიან უცნაურად მეჩვენება მაია ფანჯიკიძისა და ირაკლი ალასანიას კომენტარები, სადაც ისინი ამ პაკეტის მიღების შედეგად საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებაზე საუბრობენ. ეს ან საკითხის სრული არცოდნაა, ან საზოგადოების განზრახ შეყვანა შეცდომაში. უსაფრთხოების არავითარ გარანტიებს ნატო არ იძლევა ბლოკის არაწევრი ქვეყნებისთვის, ჩვენ კი, მოგეხსენებათ, ამ სტატუსისგან ძალიან შორს ვართ. მაშ, რა საჭიროა ასეთი იაფფასიანი პოპულისტური განცხადებები პატივცემული მინისტრების მხრიდან?!

— უკვე ცნობილია, რომ უელსის ნატო-ს სამიტზე საქართველოს დელეგაციას გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე განვითარებული პროცესების ფონზე, ეს მისია პრეზიდენტს რატომ დაუთმეს?

— პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კარგა ხანია გაჩაღებულია პაექრობა სხვადასხვა სახის ღონისძიებასა თუ მოვლენებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ეს დაპირისპირება არა კულუარებში, არამედ სრულიად ღიად მიმდინარეობს და უკვე სამარცხვინო ფორმა მიიღო. უფლებაშეზღუდულ პრეზიდენტს მთავრობა, პრაქტიკულად, ყველაფერს უკრძალავს. ამჯერად, მას ყოფილი პრეზიდენტის დამკრძალავი კომისიის შექმნის უფლებაც წაართვეს. ამ მოვლენების ფონზე, უცნაურად ჩანს მისთვის ნატო-ს უელსის სამიტზე მონაწილეობაზე თანხმობა. არ მგონია, ეს პატივი მოქმედი თუ ყოფილი პრემიერის კეთილი ნების გამო ერგო. სავარაუდოდ, მთავრობაში არსებობს აზრი, რომ უელსის სამიტი საქართველოსთვის წარმატებული არ იქნება და ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობა პრეზიდენტს გადაულოცეს, საზოგადოებას კი ისღა დარჩენია, ხელისუფლების პირველი პირების ინფანტილურ კინკლაობას ირონიით შეხედოს.

კანონდარღვევით ჩატარებულ საახალწლო ღონისძიებებს გიგი უგულავას ცოლი კურირებდა

მე-5 გვერდიდან

გახმოვანების მომსახურების მიზნით გამოცხადებულ ტენდერზე, შპს „არტ კომპანიმ“, მის ხელთ არსებული, გახმოვანების აპარატურის მატერიალური ბაზა წარადგინა, რომელიც ამ კომპანიას „ინვალიდთა ლიგიდან“ უსასყიდლო იჯარით ჰქონდა აღებული. 2009 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება 99 900 ლარი იყო, ორი კომპანია — შპს „არტ ჯი“ და შპს „არტ კომპანი“ მონაწილეობდა. სხვათა შორის, ორივე კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავს. მართალია, სატენდერო დოკუმენტაცია ორივე კომპანიამ შეიტანა ტენდერზე, მაგრამ შპს „არტ ჯის“ სატენდერო წინადადება აღარ წარუდგენია. შესაბამისად, მხოლოდ ერთი პრეტენდენტი — შპს „არტ კომპანი“ დარჩა, რომელმაც ეს ტენდერი 99 500 ლარით მოიგო. აღსანიშნავია ფასთა კოტირებით განხორციელებული შესყიდვა, რომლის დროსაც, 2009 წლის 24 დეკემბერს, შესყიდვის მასალები სამ ფირმას — შპს „საუნდ სითის“, შპს „არტ ჯისა“ და შპს „არტ კომპანის“ გაუგზავნეს იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორ კომპანიას ერთი და იგივე მფლობელი ჰყავდა.

2006-2010 წლებში, საახალწლო ღონისძიებებისთვის გამოყენებული სასცენო კონსტრუქციებით მომსახურებაზე (სცენა, პლატფორმა, ტრიბუნა) განხორციელებული შესყიდვების მთლიანი ღირებულება 859 800 ლარი იყო. 2006-2009 წლებში, თბილისის მერია სასცენო კონსტრუქციის მომსახურებას მხოლოდ შპს „ა.ნ.ი“-სგან იძენდა, 2010 წელს კი — შპს „ა.ნ.ი & co“-სგან, არადა, ორივე კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავს. სასცენო კონსტრუქციის მომსახურების ღირებულება ფართობის მიხედვით იყო განსაზღვრული. ხელშეკრულების მიხედვით, 1 კვადრატული მეტრი სცენის და პლატფორმის ფასი 160 ლარიდან 410 ლარამდე მერყეობდა.

2007-2011 წლებში, შობა-ახალი წლის საახალწლო ილუმინაციების მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებზე დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 4 761 ლარი იყო, რომლის 94% შპს „თბილქალაქგანათებაზე“ მოდიოდა.

მატერიალური ფასეულობების მოვლა-პატრონობა და შენახვა

თბილისის მთავრობის დადგენილებების თანახმად, აუდიტის პერიოდში, მერიის მიერ თხოვების ფორმით, სხვადასხვა რაიონის მუნიციპალიტეტებსა და ორგანიზაციებზე, შესაბამისი ხელშეკრულებებით, 424 400 ლარის ღირებულების საახალწლო ილუმინაციებია გადაცემული. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ ხელშეკრულებას თხოვების ვადა გასული ჰქონდა და თბილისის მერიის მიერ, ამ ილუმინაციების დაბრუნების მოთხოვნით, წერილები იყო გაგზავნილი. მიუხედავად ამისა, აუდიტის პერიოდში, თხოვებით გადაცემული მატერიალური ფასეულობები ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული.

2007-2011 წლების საახალწლო ღონისძიებებისთვის, ილუმინაციების მონტაჟს შპს „თბილქალაქგანათება“ ახორციელებდა. 2009 წლიდან, მონტაჟსა და დემონტაჟზე გადაცემულ-დაბრუნებულ მატერიალურ ფასეულობებზე, მერიასა და „თბილქალაქგანათებას“ შორის, მიღება-ჩაბარების აქტები ფორმდებოდა. ამ აქტებიდან ირკვევა, რომ მერიის მიერ, დასამონტაჟებლად გადაცემული საახალწლო ილუმინაციები ამ კომპანიამ დანაკლისის გარეშე დაუბრუნა მერიის საწყობს.

ქალაქის მთავრობის დადგენილებით, თბილისის მერიამ, თხოვების ფორმით, 2006 წელს შეძენილი საახალწლო ილუმინაციები, აფხაზეთის მთავრობას, ქუთაისის მერიას, საქართველოს საპატრიარქოს, ვანის, თერჯოლის, მცხეთის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს გადასცა, თუმცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის, ილუმინაციების გადაცემის შესახებ მთავრობის დადგენილების დანართში, 25 600 ლარის ნაცვლად, 19 500 ლარია დაფიქსირებული.

2007 წელს, თხოვების ფორმით გადაცემული საახალწლო ილუმინაციების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მთავრობის დადგენილების დანართში, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციებზე ამ ილუმინაციების გადაცემის ფაქტებია ჩამოთვლილი, 19 400-ის ნაცვლად, 16 300 ლარია დაფიქსირებული.

თბილისის მერიასა და შპს „თბილქალაქგანათებას“ შორის, 2007-2008 წლების საახალწლო ღონისძიებებისთვის, დასამონტაჟებლად გადაცემული და დემონტაჟის შემდეგ, საწყობში მიღებულ მატერიალურ ფასეულობებზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, აუდიტის ჯგუფს ვერ გადასცეს. მეტიც, თბილისის მერიის ბუღალტერია მატერიალურ ფასეულობებს სათანადოდ არ აღრიცხავდა. მერიამ აუდიტის ჯგუფს ვერც იმ მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის (შემოწმების) აქტები წარუდგინა, რომლებიც აუდიტორულ შესწავლას ექვემდებარებოდა. თბილისის მერიის მონაცემებით, 2006-2010 წლებში შეძენილი ილუმინაციების 46% გამოუსადეგარი ანუ უხარისხო იყო. საახალწლო ილუმინაციების საწყობის დათვალიერებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტები მიიჩნევენ, რომ მატერიალური ფასეულობები სათანადო პირობებში არ ინახებოდა და მათი დიდი ოდენობით დაზიანების მიზეზი, შესაძლოა, ესეც იყო.

მუნიციპალური ქონებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებაზე კონტროლის გაძლიერების, მისი დაცვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიზნით, სახელმწიფო აუდიტები თბილისის მერიას ურჩევენ: განსაზღვრონ კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მატერიალური ფასეულობების მიღების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის ოპერაციებს გააკონტროლებენ; მერიამ არსებული მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაცია ჩაატაროს, რათა არსებული სასაქონლო ნაშთები სრულყოფილად განისაზღვროს და ამ ფასეულობების სწორი რაოდენობრივი, თუ თანხობრივი აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველი შეიქმნას; შესაძლებლობის ფარგლებში, მერიამ სასაწყობო მეურნეობის რეაბილიტაცია განახორციელოს, რათა მატერიალური ფასეულობების დაზიანებისა და ქურდობის შემთხვევები თავიდან აიცილოს.

„ბიზნესი ირაკლი ოქრუაშვილმა წამართვა!“

გიორგი იაშვილი

2004 წელს გორის ბაზრის გახმაურებული საქმე საზოგადოებისთვის ცნობილია. ამ საქმის გამო მაშინ ბაზრის დირექტორი დააკავეს. ჯემალ წიკლაურმა ციხეში არცთუ დიდხანს დაჰყო და ორთაჭალის საპყრობილე მას შემდეგ დატოვა, რაც ბაზარი გორის გამგეობას აჩუქა. დღეს ბიზნესმენი სასამართლოში დავობს და აცხადებს, რომ ყველა დოკუმენტი აქვს, რომელთა მეშვეობით დაამტკიცებს, რომ ბაზარი ირაკლი ოქრუაშვილმა დაათმობინა.



— ოქრუაშვილი შიდა ქართლის გუბერნატორი იყო, ხოლო მიხეილ ქარელი მის აქტივისტად თუ მარჯვენა ხელად ითვლებოდა. 2004 წლის თებერვალში ქარელი შემოვიდა ბაზარში, იყიდა ხორცი, შემდეგ სხვა სასწორზე აწონა და აღმოაჩინა, რომ წონაში მოატყუეს. მოვიდა მერე ჩემთან და მითხრა — თუ გინდა ეს ამბავი არ გახმაურდეს, ბაზარი უნდა დათმოო. თავიდან მეგონა ხუმრობდა. რა შუაშია დირექტორი, თუ გამყიდველი იტყუება?! უჩივლე გამყიდველს და დასაჯე! ქარელიც მიხვდა, რომ არასწორად მოვიდა და უკვე პირდაპირ მუქარაზე გადავიდა — ბაზარი დათმე, თორემ დაგიჭერთო.

— რის საფუძველზე უნდა დაეკავებინეთ?

— მეც ეგ მაინტერესებდა, რადგან დანაშაული არ მიმიძღვოდა. მეორე დღეს ფინანსური შემოვიდა და „აღმოაჩინეს“, რომ სახელმწიფოს 300 ათასი ლარი დავუმალე. ამ თანხის გადასახდელად ათდღიანი ვადა მომცეს. თანხა დავფარე და ამან სულ გადარია ისინი.

— ვინ ისინი, თქვენ მარტო ქარელი ახსენეთ.

— რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ ამ საქმით პირადად ირაკლი ოქრუაშვილი იყო დაინტერესებული. შემდეგ ამაში მეც დავრწმუნდი. დამიბარეს დაკითხვაზე და დამაკავეს. ორთაჭალის ციხეში გადამიყვანეს და ზეწოლა უკვე იქ გაგრძელდა. ექვსჯერ იყო ქარელი შემოსული და სამჯერ ნოტარიუსიც მოიყვანა, რათა ბაზარი დამეთმო. უარი ვუთხარი, იმის მიუხედავად, რომ ოქრუაშვილი უკვე მთავარი პროკურორი იყო. ჩემთან ყოველდღე დადიოდა სამხარეო პროკურორი ტერაშვილი და ისიც ბაზრის დათმობას ითხოვდა. ბოლოს მარტივად გამტეხეს — ბაზრის თანამფლობელი ჩემი მეუღლეც იყო. მითხრეს, რადგან ერთი მფლობელი დაჭერილი გვყავს, მეორეც უნდა დავიჭიროთო. მივხვდი, ყველაფერზე იყვნენ წამსვლელები, ჩემ ცოლსაც არ დაინდობდნენ და ამიტომ, 2004 წლის 23 ივნისს, ორთაჭალის ციხეში, სანოტარო წესით, ბაზარი გორის გამგებლის მაშინდელ მოადგილეს, ნუკრი პაპუნაშვილს, ჩუქების წესით გადავუფორმე. მანამდე ოქრუაშვილთან წამიყვანეს, კაბინეტში, მაგრამ არ შემხვდა.

— დარწმუნებული რატომ ხართ, რომ ოქრუაშვილის კაბინეტი იყო?

— ციხიდან ღამე გამიყვანეს და მიმიყვანეს მთავარ პროკურატურაში. კაბინეტი რომ სწორედ ოქრუაშვილის იყო, მარტივად მივხვდი — კარს გარედან აბრა ჰქონდა. დაახლოებით ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ, მითხრეს, შეხვედრა გადაიდოო.

24 ივნისს წამიყვანეს სასამართლოში და რადგან ბაზარი გაჩუქებული მქონდა, მოსამართლემ საპროცესო გარიგების სანაცვლოდ, 2000-ლარიანი გირაო შემიფარდა და გამომიშვეს. ამის შემდეგ სარჩელი შევიტანე სტრასბურგის სასამართლოში და ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაუქმება მოვითხოვე. საჩივარს ერთვოდა ნოტარიუსის ცნობა, სადაც გარკვევით ეწერა, რომ ჩუქება მოხდა ორთაჭალის ციხეში. საქმე დღემდე ძიებაშია. არადა, დაკითხულია თითქმის ყველა მოწმე და თითოეული მათგანი აღიარებს ჩემს სიმართლეს. ნოტარიუსი ამბობს, რომ ციხეში სამჯერ ჰყავდათ შეყვანილი, მაგრამ პირველ ორ შემთხვევაში ჩუქებაზე უარი განვაცხადე. მიხეილ ქარელი აცხადებს, რომ უშუალოდ ირაკლი ოქრუაშვილის მითითებით მოქმედებდა. სამხარეო პროკურორი ტერაშვილი ადასტურებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ზეწოლის შედეგად მაიძულა, ბაზარი დამეთმო. სხვათა შორის, ბაზარი ივნისში დავთმე, აგვისტოში კი საურავი დამაკისრეს ბაზრის თემაზე, რომელიც დღემდე იზრდება და უკვე 200 ათას ლარს ასცდა. ამის გამო უძრავ-მოძრავი ქონება დაყადაღებულია. ამას თან ერთვის ოქრუაშვილის აღიარებაც და...

— ოქრუაშვილმა აღიარა, რომ ბაზარი ზეწოლის შედეგად დაგათმობინათ?

— ორიოდე კვირის წინ, ოქრუაშვილი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში ჰყავდათ მიწვეული. როცა ბაზარზე და გორის წისქვილკომბინატზე დაუსვეს კითხვა, მან ასეთი განცხადება გააკეთა: „რა გინდათ, რომ ვთქვა? წისქვილკომბინატისა და ბაზრის მფლობელებს ეს ქონება მამა-პაპისგან კი არ მიუღიათ? უნდა დაეთმოთ და დათმეს კიდეც“... არის თუ არა ეს აღიარება, რომ ბიზნესმენებს ქონება დაათმობინა?!

— ბაზარი ახლა ვის მფლობელობაშია?

— 2007 წელს ბაზარი ქართულ-ებრაულ კომპანიას მიჰყიდეს 700 ათას დოლარად, ერთ თვეში კი ბანკმა ამ კომპანიაზე 800-ათასიანი კრედიტი გასცა. რა გამოდის? თუ ბაზრის ღირებულება 700 ათასი ლარი იყო, ბანკმა გარისკა და რეალურ ფასზე მეტი გაიღო? ვვარაუდობ, ამ კომპანიის უკან ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები დგანან. ასეთ რამეს ბანკი არ აკეთებს, მაგრამ ფაქტია, ეს მოხდა. ვერ გეტყვით, ვინ დგას ამ კომპანიის უკან, მაგრამ ფაქტია, მათ სასათბურე პირობები აქვთ.

— ქართულმა სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დაკითხა?

— ჯერ არა. დავამტკიცებ, რომ სწორედ მან დამტოვა ლუკმა-პურის გარეშე და ამას დაამტკიცებს ქარელიც, ტერაშვილიც, ნოტარიუსიც და ბევრი სხვაც.

ცოლის მკვლელი ზაზას გამხელილი საიდუმლო

რატომ უამბო პატიმრებს ახალციხელმა სასჯელმისჯილმა ტრაგიკული სიყვარულის ისტორია და რატომ ითხოვა თანამესაკნემ სხვა ციხეში გადასვლა

პატიმარი №0578

რამდენიც უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში „მაყურებლების ინსტიტუტი“ არ არსებობს, ფაქტია, ასე არ არის და, ჯერჯერობით, ისეთი პირი უჩანს, „მაყურებლები“ ციხეებში მომავალშიც იქნებიან. მით უმეტეს, მათი არსებობა ადმინისტრაციასაც აწყობს — ისინი ელაპარაკებიან მხოლოდ „მაყურებლებს“, რომლებსაც ინფორმაცია სხვებთან მიაქვთ.

„მაყურებლები“ რამდენიმე კატეგორიად იყოფა: ზონის, კორპუსების, რეგიონების, საავადმყოფოს, „ობშიაკის მაყურებელი“... ყველაზე საინტერესო რეგიონებად დაყოფაა. რეგიონები ზონაზეც დაახლოებით ისეა დაყოფლი, როგორც დიდ სახელმწიფოში, განსხვავება ისაა, რომ დიდ ქალაქებს „ავტონომია“ აქვთ. მაგალითად, ცალკეა რუსთავის, თბილისის, ქუთაისის რეგიონი... ზონაზე ახალ პატიმარს შესაბამისი რეგიონის ხალხი ხვდება და პირველადი მოხმარების საგნებს — ტუალეტის ქაღალდს, საპარსს, საპონს... აძლევს.

რუსთავის მე-17 დაწესებულებაში ერთადერთი ახალციხელი იჯდა. შესაბამისად, ახალციხის რეგიონს „მაყურებელი“ არ ჰყავდა და ის ერთადერთი ახალციხელიც, ზაზა ტ. მშვიდად იყო. ერთ დღეს ზონაზე ხმა გავრცელდა, პატიმრების ახალი ნაკადი მოიყვანეს და ერთი ახალციხელიც არისო. გაუხარდა ზაზას, სხვა რეგიონებს დაუარა, არ შემარცხვინოთ, ბიჭებოო, ვის საპონი გამოართვა, ვის საპარსი, ვიღაცამ ახალი წინდაც მისცა და ისიც ამაყად ელოდა თანაქალაქელს. მოვიდნენ პატიმრები, გადაინაწილეს რეგიონებმა, ახალი ამბების გამოკითხვა დაუწყეს, ახალციხელი დათო კი ზაზამ თავის კამერაში აიყვანა, ჩაი მოუდუღა, პირველადი მოხმარების საგნები საზეიმოდ გადასცა და ჰკითხა, ახალციხეში რა ადგილზე ცხოვრობო. როგორც გაირკვა, დათო სოფლიდან იყო და ახალციხეში თითქმის არავის იცნობდა, თუმცა..

— გამახსენდა, ახალციხეში ერთი ნაშა მყავდა. ამა და ამ ქუჩაზე ცხოვრობდა, პირველ სართულზე, ხან 20 ლარს მართმევდა, ხან კიდევ „პოსლეზე“ მიშვებდა. მაგარი ქალი იყო, მაგრამ მერე თბილისში წამოვედი. არ ვიცი, ახლა რა ხდება, მაგრამ მაშინ, მთელი ახალციხის გულისგამხარებელი იყო ის დალოცვილი, — ღიმილით დაასრულა მონოლოგი დათომ.

— რომელი ქუჩა და რომელი სახლი? — ჩაეკითხა ზაზა და პასუხი რომ მოისმინა, მშვიდად განუცხადა — ჰო, ეგ ჩემი სახლია და ჩემს ცოლზე ლაპარაკობ.

საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. პატიმრებმა მიმოიხედეს, სადმე რამე ბასრი საგანი ხომ არ დევსო, რადგან ზაზას მეტსახელი ბომბორა გახლდათ, მართლაც უზომოდ დიდი იყო და მისი დამკავებელი საკანში არავინ ჩანდა.

დათოს პირი გაუშრა, ფერი დაკარგა, ჯერ უხერხულად გაიღიმა, მაგრამ ზაზას გამეხებულ სახეს რომ წააწყდა, საქციელი წაუხდა და ნერვიულად დაიწყო თითების მტვრევა. უცებ ზაზამ გაიცინა.

— ჰო, ჩემი ცოლია, მაგრამ არ ინერვიულო, „კაკ რაზ“ ცოლის მკვლელობაზე ვზივარ, — მშვიდად უთხრა დათოს.

პატიმრებს გაახსენდათ, რომ ზაზა მართლაც ცოლის მკვლელობაზე იყო დაჭერილი. საკანში დუმილი ერთმა დაარღვია: ვიცით, რომ ცოლი მოკალი, მაგრამ რატომ და როგორ, არ გითქვამს. მოყევი ბარემ.

ზაზამ ამოიოხრა და დაიწყო: ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ცოლად რომ მოვიყვანე, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. ბავშვი არ გვიჩნდებოდა და ვნერვიულობდი. ბავშვის აყვანა გვინდოდა, მაგრამ გვითხრეს, 5-6 წელი რიგში დგომა მოგიხდებათო. მერე თბილისში გადმომიყვანეს სამუშაოდ. ცოლი არ წამოვიდა, დედა მყავს ავად, უნდა მივხედოო. ერთი თვის შემდეგ ძმაკაცმა მითხრა, მგონი, შენმა ცოლმა „წიწილების ჭამა“ დაიწყოო — ხომ იცით, ძაღლი ოჯახში წიწილების ჭამას რომ დაიწყებს, აგდებენ. ცოლთან არაფერი შემიმჩნევია, მაგრამ თბილისიდან მოულოდნელად ვბრუნდებოდი ხოლმე, ყოველთვის ყველაფერი რიგზე იყო. მერე გავარკვიე, თურმე „მარშუტკის“ მძღოლებთანაც ცუღლუტობდა და როგორც კი გამოვჩნდებოდი სადგურზე, ინფორმაციას აწვდიდნენ.

ერთ დღეს თბილისში მოვდიოდი. ძმაკაცმა გამომიარა, მეც მივდივარ, მანქანით წავიდეთო. ახალციხეს რამდენიმე კილომეტრით რომ დავშორდით, მითხრა, იარაღი მაქვს და ცოტა ხანს უნდა შემინახოო. ჯიბით ხომ არ ვატარებდი, დავბრუნდეთ, სახლში შევინახავ და მერე წავიდეთ თბილისში-მეთქი. დავბრუნდით. სახლთან მისულმა, იარაღი გამოვართვი. საძინებლიდან კაცის ხმა გავიგე, შევაღე და დავინახე, ჩემს ცოლთან, ერთის ნაცვლად, ორი კაცი იყო. ერთი მაშინვე ფანჯრიდან გადახტა, მეორე კი ადგილზე გაშეშდა. იარაღი გადავტენე, კაცს ფეხში ვესროლე, დანარჩენი კი ცოლს დავაცალე. სასამართლომ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა წამიყენა ბრალად. აფექტი არ გაითვალისწინეს და აგერ, 15 წელი „მომარჭეს“.

იმავე საღამოს ახალციხელმა დათომ სხვა დაწესებულებაში გადაყვანა ითხოვა და გადაიყვანეს კიდეც. ზაზამ რომ გაიგო, ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ალბათ მართალი იყო, ჩემთვის 15 წელი იქნება თუ 20, მნიშვნელობა აღარ აქვს და ერთ დღეს ხომ შეიძლებოდა ცუდ ხასიათზე გამეღვიძაო...

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ზაზას სასჯელი გაუნახევრეს და ციხე მიმდინარე წელს დატოვა. ახალციხეში აღარ დაბრუნებულა. გეზი რუსეთისკენ აიღო. დღემდე იქ ცხოვრობს. ახალციხეში კი ამბობენ, იმ სახლში, რომელშიც ცოლი მოკლა, სიდედრი გადაიყვანა, მომვლელიც მიუჩინა და ფულსაც უგზავნისო.

„როგორ გახდა ქართველი სერჟანტი ჯიჰადის ლიდერი“

ყოფილი სერჟანტის, ახლა კი რადიკალი ისლამისტების მეთაურის ომარ აშ შიშანის (თარხან ბათირაშვილი) მამა თემურ ბათირაშვილი მისი შვილის არჩევანში ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს.

თემურ ბათირაშვილს ჩ-ს რუსეთის ბიუროს ჟურნალისტი ესაუბრა და გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „როგორ გახდა ქართველი სერჟანტი ჯიჰადის ლიდერი?“. სტატიაში ნათქვამია, რომ უკვე რამდენიმე თვეა, 28 წლის ომარ აშ შიშანის სახელი ყოველთვის ჟღერს სამხედრო ანგარიშებში სირიიდან.

„წითური გენერლის“ ფსევდონიმით ცნობილი შიშანი დიდი ხანი არაა, „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ჩრდილოეთ სექტორის, ერაყსა და სირიაში მებრძოლი რადიკალი ისლამისტების მეთაურია. სხვათა შორის, პანკისის ხეობაში, ისლამისტების მეთაურის სამშობლოში, მას სხვა სახელით – თარხან ბათირაშვილით იცნობენ. სირიაში გამგზავრებამდე ბათირაშვილი სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა და საქართველოს ჯარში მსახურობდა“, — წერს ჩ.

ჟურნალისტი ესაუბრა ომარ აშ შიშანის მამას, თემურ ბათირაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ მისი შვილი, რომელიც 2008 წელს რუსეთთან ომის მონაწილეა, რადიკალური ისლამისგან შორს იყო. იგი რელიგიით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ჯარიდან ტუბერკულოზის დიაგნოზით გამოუშვეს, სახელმწიფომ კი ოპერაციისთვისაც არ გამოუყო თანხა. თემურ ბათირაშვილის თქმით, მის შვილს საკუთარი სახსრებით მოუწია ოპერაციის გაკეთება, შემდეგ კი თელავში სამსახურს დაჰპირდნენ, თუმცა უშედეგოდ. მისივე ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილს სახლში იარაღით სავსე ყუთი ჩაუდეს და დააპატიმრეს: „თარხანი ციხიდან შეცვლილი გამოვიდა. თავისი ნივთებიც კი არ დაუბრუნეს, მხოლოდ პისტოლეტი. არ მახსოვს, რომელი წელი იყო. ერთ საღამოს, ჩემთან მოვიდა და მითხრა: „მამა, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში არავის ვჭირდები“. იმ დღის შემდეგ თარხანი აქ აღარავის უნახავს“.

თემურ ბათირაშვილისვე განცხადებით, მისი სამივე ვაჟი მუსულმანი გახდა: „მე ქრისტიანი ვარ. არც ერთი ჩვენი წინაპარი მუსულმანი არ ყოფილა. ესენი კი უცებ ვაჰაბიტები გახდნენ. გამოდის, ჩემს შვილს საერთოდ არ ვიცნობდი, არ მესმოდა მისი. ამ ჩანაფიქრიდან კარგი არაფერი გამოვა. ყოველდღე საშინელი ახალი ამბის მოლოდინში ვარ. ერთი ინფარქტი უკვე გადავიტანე და ზუსტად ვიცი, თუ რამე ცუდს გავიგებ მის შესახებ, ვერ გადავიტან, მოვკვდები. არ მჭირდება მისი ასეთი ცნობადობა. უკეთესი იქნებოდა, სახლში მჯდარიყო. შიმშილით ჩვენთან არავინ მომკვდარა. შეიძლება, იმისთვის დაიბადა, რომ იბრძოლოს. ჭკვიანი და კარგი ბიჭი იყო. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. ამ ყველაფერში ნაციონალები არიან დამნაშავეები. მიეცათ მისთვის სამსახური, არსად წავიდოდა. განა საქართველოს არ სჭირდება ისეთი მეომარი, როგორიც ისაა? განა ჩვენს ჯარში არ გამოადგებოდათ?“.

„ინტერპრესნიუსი“

ქართველი ერი გადაშენების პირას მყოფი ერების ხუთეულშია

რაფომ არის საქართველოში შვილის ყოლის მოთხოვნილება დაბალი და როგორ დავძლიოთ დემოგრაფიული კრიზისი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ქართველი ერი იმ ხუთეულშია, რომელიც გაქრობას იწყებს. გაერო-ს სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ინფორმაციით, 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობამ შეიძლება 9,5 მილიარდ ადამიანს მიაღწიოს, რაც 37%-იან მატებას ნიშნავს. დემოგრაფიული მატება ყველა ქვეყანას არ შეეხება. რამდენიმეწლიანი დეტალური კვლევის შედეგად გამოიკვეთა ხუთი ქვეყანა, რომელთა ნაცია სოციალური რეგრესის გზას ადგას და შესაძლოა, მომავალში, საერთოდ გაქრეს. საქართველოს მოსახლეობა ამ დროისთვის 4.340 მილიონია.
კვლევის თანახმად, 2050 წლისთვის, ჩვენი სოციუმი 3.591 მილიონამდე შემცირდება.

საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, საქართველოში შობადობა საკმაოდ მომატებულია, თუმცა სიღარიბის მაღალი დონე, რომელმაც 22%-ს მიაღწია, მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას ხელს უშლის; ასევე ნეგატიურად მოქმედებს მიგრაციის დონის ზრდაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების ზრდა ხელს უშლის ნორმალური სოციალური ფენის ჩამოყალიბებას.

საქართველოს გარდა, ქვეყნებს შორის, რომლებსაც გაქრობა ემუქრება, მოხვდა: იაპონია, უკრაინა, ბოსნია-ჰერცეგოვინა და ბულგარეთი. ამ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა დღეს და 2050 წლისთვის ციფრებში ასე გამოიყურება: იაპონია — დღეს 126 მილიონი, 2050 წლისთვის — 95.152 მილიონი, უკრაინა — დღეს 45. 864 მილიონი, 2050 წლისთვის — 35.273 მილიონი, ბოსნია-ჰერცეგოვინა — დღეს 3.826 მილიონი, 2050 წლისთვის – 3.075 მილიონი, ბულგარეთი — დღეს 7. 210 მილიონი, 2050 წლისთვის – 5. 894 მილიონი.

იმის გასარკვევად, როგორ ავიცილოთ თავიდან ქართველი ერის გადაშენების საფრთხე და როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული დემოგრაფიული პრობლემა, „ვერსია“ დემოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, **ავთანდილ სულაბერიძეს** დაუკავშირდა: **„მოსახლეობის შემცირება გლობალური ტენდენციაა. მიგრაციის შედეგად, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა იკლებს. ამაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. პირველი შობადობის შემცირებაა, მეორე – მიგრაცია (საქართველოს და ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცის შემთხვევაში) და მესამე – სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. გაერო და ევროკავშირი ატარებს დემოგრაფიულ კვლევებს, რომელშიც 32 ქვეყანაა ჩართული. სამწუხაროდ, საქართველო მასში არ მონაწილეობს, რადგან ევროსაბჭო ითხოვს გარანტიას, მეორე, მესამე და შემდგომი კვლევა საქართველომ დააფინანსოს.**

ზოგადად, დემოგრაფიული პოლიტიკა სპეკულაციისთვის კარგი თემაა. რეკომენდაციები სურვილების დონეზეა და რეალური მდგომარეობა შესწავლილი არ არის. ჩვენთან მესამე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მშობლებს 200-ლარიანი დაფინანსება ეძლევა. მეოთხე შვილზე კი მაღალმთიანეთში 200 ლარს იღებენ, ბარში 150-ს. ეს რას გვაძლევს, როცა ქვეყანაში მესამე შვილზე მოთხოვნილება არ არის და ზოგადად, ბავშვის ყოლის მოთხოვნილებაც ძალიან დაბალია. როცა დაბადებულებში განსაკუთრებით მცირდება პირველი და მეორე ბავშვის ხვედრითი წილი, გამოდის, ქორწინება ნაკლებია, ოჯახები არ იქმნება. ეს 20-25 წლისწინანდელმა დემოგრაფიულმა ტალღამ განაპირობა, როცა ნაკლები ბავშვი დაიბადა. საქართველოს პატრიარქს პირადად ვთხოვე, მძიმე ჯვარი აეღო და მოეწოდებინა მესამე შვილის გაჩენისკენ. მისი მხრიდან, საოცარი წინადადება იყო, როცა ბრძანა, მესამე და მეოთხე ბავშვს მოვნათლავო. სტატისტიკური მაჩვენებლით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში (2008-2012 წლები. 2013 წლის მონაცემი ჯერ არ დამუშავებულა), მესამე და შემდგომი ბავშვის ხვედრითი წილი სულ სამასი ბავშვით გაიზარდა, არადა 6 600-ით შემცირდა პირველ და მეორე ბავშვთა რაოდენობა. მარტივი არითმეტიკაა — რეალურად, არაფერი მოვიგეთ, პირიქით. მესამე და შემდგომ ბავშვზე მოწოდებას სხვა დატვირთვა ჰქონდა. ზოგადად, ბავშვის ყოლის მოთხოვნილება რომ გაიზარდოს, სხვა ღონისძიებები უნდა გატარდეს. მაგალითად, ახალგაზრდებში აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გატარდეს. პარალელურად, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მათ შესაბამისი ხელშეწყობა. დემოგრაფიული პოლიტიკა მარტო მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება არ არის. ეს სოციალური პოლიტიკაცაა. ანუ, სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გატარებაა საჭირო“.

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს, ერთი მხრივ, გააჩნია დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პრობლემები და, მეორე მხრივ, ხასიათდება განვითარებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ქცევით, რაც ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებს უფრო აღრმავებს. მდგომარეობას ართულებს ის, რომ დღეისთვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე დაბერების ზრდის პრობლემა. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის სიჭარბე, ხოლო დაბერება განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მახასიათებელია.

ექსპერტთა აზრით, ქართულ საზოგადოებას დემოგრაფიული კრიზისის მოგვარება შეუძლია შემდეგი გზით: 1. ბუნებრივი შობადობის წახალისება-ზრდა. უშუალოდ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტს. კერძოდ, რელიგიურ ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, ბიზნესჯგუფებს, ოჯახის ინსტიტუტს, საშუალო და უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და. ა.შ; 2. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ათეულ ათასობით ქართველი ემიგრანტის საქართველოში რეპატრიაცია, რაც პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოს მიერ მათი დაბრუნებისთვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შექმნას მოითხოვს.

საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში – 55 ათასი. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. 2005 წელს კი, საქართველოში 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა. შეფარდებითი მონაცემებიც ნათლად გვიჩვენებს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ კრიზისს. მაგალითად, 1960-1969 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე 14,8 კაცს უდრიდა, ხოლო 2000-2009 წლებში – 1,2 კაცს.

ვერსიანიუსი

ვადაგასული სურსათის რეალიზაციის შემთხვევები გამოავლინეს



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი რაოდენობით ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინეს.

კერძოდ, თემქის დასახლებაში ი/მ „ოლია მაღრაძის“ მარკეტში იყიდებოდა ვადაგასული ფარში, ძეხვეული, სერვილადი, თევზის კონსერვი და ნამცხვრები.

ვადაგასული სურსათი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდა. ბიზნესოპერატორი კი 200 ლარით დაჯარიმდა.

სააგენტოს სპეციალისტებმა მუხიანში მდებარე შპს GVG მარკეტიდან ამოიღეს დიდი რაოდენობით სხვადასხვა დასახელების ვადაგასული სურსათი, ბიზნესოპერატორი კი 500 ლარით დააჯარიმეს.

ასევე, შესაბამისი დოკუმენტის — ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2-ის გარეშე ახდენდა ხბოს ხორცის რეალიზაციას ი/მ „მალხაზ ჩიქვილაძე“, რის გამოც ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დაჯარიმდა, ხოლო საეჭვო წარმომავლობის ხორცი დაილუქა და წესების დაცვით განადგურდება.

„პირველი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6		3					4	8
		2				3		
9			5	4				6
	9		6	5				
2				9				4
				1	2		9	
1				7	8			5
		6				4		
4	7					8		3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		2		9		5		4
	4		8			2		
		9	6					
3		1						
6		8		2		1		3
						9		2
					3	6		
		5			8		9	
2		3		1		4		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	1				6			
						2	8	
2					3			5
8			1		5			4
	7			8			6	
1			3		9			2
9			7					1
	4	3						
			9				4	

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

	2				7	6		3
6		3						
				6				2
5	1				3		8	
8				5				4
	7		8				9	1
7				2				
						1		5
2		8	4				7	

კბილის ხეხვა ფორმის შეინარჩუნებას ეხმარება

იმისთვის, რომ სხეულის ფორმა შეინარჩუნოთ, სულაც არ არის საჭირო დიეტა ან სპორტულ კლუბებში სიარული — მხოლოდ კბილების გახეხვაც საკმარისი ყოფილა. იაპონელმა მეცნიერებმა 35-40 წლის 14 ათასი ადამიანი გამოიკვლიეს. მათ სხვადასხვა წონის ადამიანების ცხოვრების წესი შეადარეს და დაადგინეს, რომ ისინი უფრო ინარჩუნებდნენ ფორმას, ვისაც ყოველი ჭამის შემდეგ კბილების ხეხვა სჩვეოდა. ჩატარებული კვლევის თანახმად, მსუქნებს კბილის გახეხვა დღეში ერთხელაც ეზარებოდათ. ამ გამოკვლევაში საჭმლის, ძილის, მუშაობისა და ცხოვრების წესის შესწავლაც იგულისხმებოდა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ, რა თქმა უნდა, კბილის ხეხვა ვარჯიში არ არის, მაგრამ ეს ჩვევა მიანიშნებს, რომ ეს ხალხი ჯანმრთელობაზე ზრუნავს და შესაბამისად, საკვების რაოდენობის კონტროლსაც ახერხებს.

ბიონსე – ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავი

პოპულარული ამერიკელი მომღერალი ბიონსე სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავების სიას, რომელიც ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“ შეადგინა. ჟურნალის მონაცემებით, ბიონსე პირველ ადგილზე ტურნეს გამო მოხვდა, რომელიც 95 შოუსგან შედგებოდა, ასევე ხელი შეუწყო ახალი ალბომის გამოსვლამაც. კომპანია Pollstar-ის მონაცემებით, ამ ტურნეს ფარგლებში, ყოველ გამოსვლაზე მომღერალმა 2,4 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, მთლიანობაში კი 115 მილიონი დოლარი ერგო. პოპულარული შემსრულებლის მეუღლე — რეპერი და პროდიუსერი ჯეი-ზიც მოხვდა ამავე რეიტინგში, თუმცა მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა 60-მილიონიანი შემოსავლით. სიის ლიდერები არიან ასევე რეპერი ანდრე იანგი (Dr. Dre), ტელეწამყვანები — ოპრა უინფრი და ელენ დეჯენერესი. უინფრი, რომელიც შარშან ამ რეიტინგის ლიდერი იყო, წელს მხოლოდ მეოთხე საფეხურს დასჯერდა.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	4	3	7	2	8	1	9	6
2	7	1	6	9	4	5	3	8
6	9	8	5	1	3	7	4	2
4	8	7	3	6	2	9	5	1
3	6	9	1	7	5	8	2	4
1	5	2	8	4	9	6	7	3
9	3	6	4	8	7	2	1	5
8	2	4	9	5	1	3	6	7
7	1	5	2	3	6	4	8	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	1	2	9	8	7	4	6	5
6	9	5	4	3	2	1	8	7
8	4	7	6	1	5	3	2	9
5	8	3	2	9	1	7	4	6
2	6	4	5	7	8	9	3	1
1	7	9	3	6	4	2	5	8
9	5	6	1	4	3	8	7	2
7	3	1	8	2	6	5	9	4
4	2	8	7	5	9	6	1	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	8	5	7	1	4	9	3	2
9	7	3	6	2	8	5	4	1
4	2	1	3	5	9	8	6	7
8	3	2	1	4	5	7	9	6
1	5	9	8	7	6	4	2	3
7	6	4	9	3	2	1	5	8
2	1	8	5	9	3	6	7	4
3	9	7	4	6	1	2	8	5
5	4	6	2	8	7	3	1	9

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

7	1	8	2	6	5	4	3	9
4	3	6	7	1	9	8	2	5
5	9	2	8	4	3	6	1	7
9	2	7	1	8	6	5	4	3
3	8	5	9	7	4	2	6	1
1	6	4	5	3	2	9	7	8
8	5	3	6	2	1	7	9	4
2	7	1	4	9	8	3	5	6
6	4	9	3	5	7	1	8	2

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	3	4	7	1	9	6	2	8
2	6	8	5	4	3	7	1	9
1	7	9	2	8	6	5	4	3
6	8	5	4	3	2	1	9	7
4	1	7	9	6	8	3	5	2
3	9	2	1	5	7	4	8	6
9	5	6	3	2	1	8	7	4
7	4	3	8	9	5	2	6	1
8	2	1	6	7	4	9	3	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	4	3	8	2	5	9	7	6
9	5	8	7	6	4	3	2	1
2	7	6	1	9	3	5	4	8
7	3	5	6	1	2	8	9	4
6	9	4	5	8	7	2	1	3
8	2	1	4	3	9	7	6	5
5	6	9	3	7	1	4	8	2
4	1	2	9	5	8	6	3	7
3	8	7	2	4	6	1	5	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	6	3	5	4	1	7	2	8
4	2	5	8	7	9	6	1	3
1	8	7	2	6	3	5	4	9
3	9	2	7	1	8	4	6	5
5	4	1	3	9	6	8	7	2
8	7	6	4	5	2	3	9	1
2	5	4	1	8	7	9	3	6
7	3	9	6	2	5	1	8	4
6	1	8	9	3	4	2	5	7

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲘ

1	4	9	8	7	6	3	2	5
7	3	8	4	2	5	1	9	6
2	6	5	3	1	9	4	8	7
6	1	2	9	3	8	7	5	4
9	5	7	6	4	2	8	1	3
3	8	4	1	5	7	2	6	9
5	2	1	7	9	4	6	3	8
4	9	6	2	8	3	5	7	1
8	7	3	5	6	1	9	4	2

მე-10 გვერდი: 1. მენეჯმენტი; 2. ბურახი; 3. მაგელანი; 4. ნემანია; 5. ჯვალო; 6. ბერეიტორი; 7. როკ-ენ-როლი; 8. ხაკი; 9. აგამია; 10. ენკენისთვე; 11. ტორერო; 12. როკოკო; 13. აიკიდო; 14. გალიფე; 15. ლენტო; 16. „ანჟი“; 17. ანკარა; 18. ოინა; 19. რიგა; 20. კოფო; 21. ნარგილე; 22. გრაალი; 23. ლიტი; 24. ლიე; 25. ურია; 26. ორბი; 27. ლარინგიტი; 28. ეის ვენტურა; 29. დირიჟაბლი; 30. დიდი; 31. გროგი; 32. სი; 33. როდიკი; 34. სოია; 35. ოლე; 36. ერი; 37. ფიალა; 38. შაბათი; 39. ნაი; 40. იპრი; 41. დიუბეკი; 42. „აიდა“; 43. ლეკვი; 44. ალჟირი; 45. ანაპა; 46. რიხტერი; 47. მაკე; 48. ბიორკი; 49. „ტურანდოტი“; 50. კნეინა; 51. ფონ; 52. კიი; 53. მანგო; 54. გარბო; 55. ფრეში; 56. ფლატე; 57. მანგანუმი; 58. შტილი; 59. ლისი; 60. საარი; 61. ჩადრი; 62. ნეო; 63. კარგო; 64. კორნერი; 65. იდო; 66. რიქშა; 67. რეალი; 68. არტალა; 69. ჩირი; 70. ალო; 71. ორმო; 72. მახნო; 73. აქილია; 74. ავარია; 75. ახო; 76. ბოა; 77. დიალოგი; 78. ობი; 79. ატილა; 80. კოლიმა; 81. ბოლოკა; 82. ფიცი.

1.ცნობილი „სამკუთხედი“ ატლანტის ოკეანეში
2. იას „მეგობარი“ ყვავილი
3. პროგრ. ხსაიათის წერილობითი მოწოდება
4. გულის მუშაობის სტადია
5.გუნდური სიმღერა საკრავების გარეშე
6. ფრანგული ყველის სახეობა
7.გიორგი ლეონიძის მშობლიური სოფელი
8.ძველებ. ოთხადგილიანი ეტლი
9. ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელი
10. წმინდა მოგება ძიუდოში
11. ღვთის სადიდებელი შეძახილი
12. ქართველი კინოვარსკვლავი
13.ჩეხი კომპოზიტორი
14. ჰოლივუდის მსახიობი ... სმიტი
15. ქირურგის მოძველებ. სახელწოდ.
16. კედლის ჭაღი
17. ნარინჯისფერი ბოსტნეული
18. დედის ან მამის ძმა
19. თურქეთის ერთ-ერთი კურორტი
20. იტალიელი მწვრთნელი ფაბიო ...
21. პიანისტი ... ბოლქვაძე
22. საორკესტრო კლავიშიანი საკრავი
23. ტკბილი კარტოფილი
24.ფეხბურ. იტალიელი გულშემატკივრები
25. სოიას ხაჭო
26.ძველი ქვეყანა ირანის დასავლეთით
27. ქართული ხალხური ზღაპარი
28. არსაკიძის მოფერებითი სახელი
29. რუსი კომპოზიტორი
30. ქართველი კომიკოსი
31.პაპის მეგობარი გოგონა
32. მღვდლის ცოლი
33.ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი
34. ავსული ქართულ მითოლოგიაში
35. ქალაქი ყირიმში, შავი ზღვის სანაპიროზე
36. კავშირი ქართულ გრამატიკაში
37. შემოსეული, დამპყრობელი ჯარი
38. მარდი, მამაცი
39. ისრაელის წარმოების ავტომატი
40. „მოლაპარაკე“ ყუთი
41. ტბა ირანში
42.დემნა შენგელაიას „ბათა ...“
43. ფილიპინების კუნძული
44. ქალაქის ტიპის დასახლება
45. თმის მცენარეული საღებავი
46. პერუში მცხოვრები ინდიელი
47. ორგანული წარმოშობის ქვა, გაქაავებული წიაღისეული ფისი
48.საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი
49. ჩალის ბრტყელი ქუდი
50. თბილისის უბანი
51. ქვიშიანი მასივების საერთო სახელწოდება აფრიკის უდაბნოში
52.„წყლის ჭირად“ წოდებული მცენარე
53. ყურძნის ტკბილი წვნი
54. მამათურქულად
55. იაპონური ტრადიც. თეატრი
56. კოლხი მედეას დედა
57. სახოტბო ლექსი
58. მაუგლის მეგობარი პითონი

ჩინელ ქალს თავში ნემსები აღმოუჩინეს

ჩინეთის პროვინცია იუნანში არსებული რიჩმონდის საერთაშორისო საავადმყოფოს თანამშრომლებმა საკერავი მანქანის 23 ნემსი აღმოუჩინეს თავში 29 წლის ქალს, რომელმაც მედიკოსებს სისხლდენის ჩივილით მიაკითხა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ბავშვობაში ლუო კუიფენს, მისი მოკვლის მიზნით, ბებია და ბაბუა თავში ნემსებს ურჭობდნენ. როგორც ცნობილია, ჩინური კანონების მიხედვით, ოჯახს ერთ შვილზე მეტის ყოლა ეკრძალება. თუმცა, სოფლებში ცოლ-ქმარმა შეიძლება მეორე ბავშვიც გააჩინოს, თუკი პირველი გოგო ჰყავთ. ლუო ოჯახში მეორე გოგონა დაიბადა და მან სამუდამოდ დაასამარა ბიჭის ყოლის მშობლების იმედი. ამჟამად, ქალის ბებია-ბაბუა უკვე გარდაცვლილია და ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, დაიწყება თუ არა ამ საქმეზე გამოძიება. ჩინეთის, აშშ-სა და კანადის წარმომადგენელი 20 ქირურგი კი უკვე ცდილობს, გოგონას თავიდან ნემსები ამოუღოს.

კოცნამ სმენა დააკარგვინა

როგორც ჩანს, ყველა კოცნა უსაფრთხო არ არის და შესაძლოა, მეტად სავალალო შედეგები გამოიწვიოს. ასე მაგალითად, ახალგაზრდა ჩინელმა ქალმა, მეგობარი მამაკაცის ვნებიანი კოცნის შემდეგ, ცალ ყურში სმენა დაკარგა. 20 წლის გოგონამ საავადმყოფოს მარცხენა ყურში სმენის სრულად დაკარგვის ჩივილით მიაკითხა. ამ ინციდენტის შესახებ ჟურნალისტებისთვისაც გახდა ცნობილი და პრესაშიც უმალ გაჩნდა პუბლიკაციების მთელი სერია, რომელშიც ზედმეტად ვნებიანი ამბორის მოყვარულებს შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე აფრთხილებენ. ჩვეულებრივ, კოცნა საშიში არ არის, მაგრამ ექიმები გვირჩევენ, სიფრთხილე გამოვიჩინოთ, — წერს ერთ-ერთი გაზეთი. სხვები იმ ექიმის კომენტარს აქვეყნებენ, რომელთანაც დაზარალებული მოხვდა: კოცნისას პირის ღრუში წნევა დაეცა და ამან სმენის დაზიანება გამოიწვია. ინციდენტის გმირს კი, რომელიც საკუთარი ვნების მსხვერპლი გახდა, ორი თვის განმავლობაში მოუწევს, მოსასმენად მთელი დატვირთვა ჯანმრთელ ყურზე გადაიტანოს. მედიკოსების თქმით, სწორედ ამდენი დრო დასჭირდება სმენის ორგანოს ნორმალური ფუნქციის აღდგენას.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

„ვიაგრას“ გამო პოლიცია გამოიძახა



80 წელს გადაცილებული სიცილიელი მამაკაცი, რომელმაც „ვიაგრა“ მიიღო, ამავე ასაკის მეუღლის ცდუნებას შეეცადა, თუმცა პენსიონერ იტალიელს რომანტიკული საღამო ჩაეშალა — შეშინებულმა სინიორამ პოლიცია გამოიძახა. ქალი ქმრის წინადადებას არ დათანხმდა, რადგან შეეშინდა, პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი, იმის გათვალისწინებით, რომ მოხუცს წარსულში გულთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, მას სიკვდილამდე მიიყვანდა. სამართალდამცავების განცხადებით, 82 წლის „ვნებიანი“ იტალიელი გაცოფებული იყო — პოლიციას აქ რა უნდა, ცოლთან ურთიერთობა მხოლოდ ჩემი პირადი საქმეაო. იძულებული გახდნენ, მის დასაშოშმინებლად შვილები გამოეძახათ. არადა, იტალიაზე არანაკლებ „ვნებიან“ მექსიკაში, მეხიკოს ხელისუფლება იქაურ პენსიონერებს უფასოდ ურიგებს „ვიაგრას“ პირადი ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად.

სუდოკუ

ადვილი

			3		4	9		5
7	2			6	9		4	
							2	
		2	4					
9		4		8		5		2
					2	1		
	9							
	8		6	4			5	9
3		6	5		1			

სტანდარტი

5	4			2		9	8	6
			9			5		2
			5				3	
4	1			6	7			
			8	1			2	4
	6				8			
9		4			1			
7	3	8		4			6	9

რთული

5				1	8		9	
	6		5		3			
							4	
	3	2				6		
8			4		2			9
		4				3	8	
	7							
			3		9		6	
	8		1	6				5

ექსპერტი

1				6		4		
	4				9		1	
		2					7	
		7			8	2	5	4
				7				
6	1	4	5			8		
	8					6		
	6		2				8	
		9		5				2

ვიაგრას ალტერნატივა აღმოაჩინეს

იტალიელმა მეცნიერებმა ვიაგრას ბუნებრივი ალტერნატივა იპოვეს. მათი განცხადებით, ჩიტიწვივა („გორიანკა“) — კოწახურისებრთა ოჯახის წარმომადგენელი შეიძლება ერექტილური დისფუნქციის სამკურნალო პრეპარატების წარმოებისთვის ნედლეულად გამოდგეს. აპენინელ სწავლულთა თქმით, ახალი წამალი ისეთივე ეფექტური იქნება, როგორც ვიაგრა და ნაკლებ გვერდით მოვლენას გამოიწვევს. მილანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ოთხი მცენარის თვისებები შეისწავლეს, რომელთაც აზიის ქვეყნებში აფროდიზიაკებად იყენებენ. აღმოჩნდა, რომ ჩიტიწვივას კომპონენტს, სახელწოდებით იკარიინი, შეუძლია, იმ ფერმენტის (ფოსფოდიესტერაზ-5) ბლოკირება, რომელიც სასქესო ორგანოს სისხლით მომარაგებას აკონტროლებს. იგივე მექანიზმი — ფერმენტის ბლოკირება დევს პოპულარული ვიაგრას მოქმედების საფუძველში. იკარიინის ექსტრატთან დაკავშირებული ექსპერიმენტისას იტალიელმა მეცნიერებმა ამ ნივთიერების მოდიფიცირებული ვერსია მიიღეს, რომელიც ეფექტურობით ვიაგრას არ ჩამორჩება. ამავე დროს, ახალი „წამალი“ გაცილებით უსაფრთხო აღმოჩნდა, ვიდრე ცნობილი პრეპარატი. საქმე ისაა, რომ ვიაგრას აქტიური კომპონენტი დამთრგუნველად მოქმედებს არა მარტო ამ ფერმენტზე, არამედ სხვა ფოსფოდიესტერაზებზეც, რაც ფერების აღქმისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევას იწვევს. ამჟამად მეცნიერები იკარიინის კლინიკურ შემოწმებას გეგმავენ. თუ ცდები წარმატებული აღმოჩნდება, ახალი საშუალება ერექტილური დისფუნქციის სამკურნალოდ ბაზარზე დაახლოებით 8-10 წელიწადში გამოჩნდება.

დაავადებას სიზმრებით დაადგენენ?

ბრიტანელმა სწავლულებმა ლაფბოროს უნივერსიტეტიდან სიზმრების სამედიცინო ახსნა შეადგინეს, რომელიც გარკვეული შინაარსის სიზმარსა და დაავადებას შორის კავშირს აღწერს. მაგალითად, კოშმარი, როგორც აღმოჩნდა, იმ ადამიანს ესიზმრება, რომელსაც შაკიკი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები აწუხებს ანდა ბეტა-ადრენობლოკატორების ჯგუფის პრეპარატებს იღებს. როგორც წესი, კოშმარი ძილის დროს ტვინში სისხლის მიწოდების გაუარესებას უკავშირდება, — ამბობენ მეცნიერები. სწორედ ესაა მიზეზი საშინელი სიზმრებისა;

ცვალებადი სიზმრები ოთახში ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურის შედეგია. გარდა ამისა, სიზმრების სიხშირე არცთუ იშვიათად დამოკიდებულია ანტიდეპრესანტების მიღებაზე, ანდა ზურგის, წელისა და სახსრების ქრონიკულ ტკივილს უკავშირდება;

მძიმე სიზმრები, რომელშიც ადამიანი ვინმესგან გაქცევასა და თავის გადარჩენას ცდილობს, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების ნიშანია. ასეთი სიზმრები ნერვული სისტემის პათოლოგიის განვითარების მანიშნებელი შეიძლება იყოს, თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მსგავსი სიზმარი, შესაძლოა, ნორმა იყოს გადაღლილობის ან ძლიერი ემოციური განცდის დროს. ალკოჰოლის მიღება, მწვავე ინფექციური დაავადებები... მკვეთრი სიზმრების მიზეზი ხდება. ეროტიკული ხასიათის სიზმრები, მკვლევართა განცხადებით, ჩვეულებრივ, არ უკავშირდება ადამიანის სექსუალურ სურვილს, ასეთ სიზმრებს ხშირად ხანდაზმულები ხედავენ და განპირობებულია ტვინის მაღალი კრეატიულობით.

წითელი ბოსტნეული მკერდის კიბოს წინააღმდეგ

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საკვებში წითელი ფერის ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებამ, შესაძლოა, მკერდის კიბოს განვითარების რისკი შეამციროს. სწავლულებმა ამ დაავადების მქონე დაახლოებით სამი ათასამდე პაციენტის ისტორია და 3,9 ათასი საკონტროლო ჯგუფის მონაწილეთა მონაცემები შეისწავლეს. შედეგად მათ კაროტინოიდების (რომელსაც წითელი ფერის ხილი და ბოსტნეული შეიცავს) დონესა და სიმსივნით დაავადებული პაციენტების სისხლში არსებულს შორის კავშირი გამოავლინეს. აღმოჩნდა, რომ იმ მანდილოსნებს, ვინც საკვებში უფრო მეტ წითელი ფერის ხილ-ბოსტნეულს მოიხმარდა, მკერდის კიბოს განვითარების ნაკლები შანსი ჰქონდათ. კაროტინოიდები, რის გამოც ამა თუ იმ ხილსა და ბოსტნეულს ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი შეფერილობა აქვს, უკვე ცნობილია ანტისიმსივნური თვისებებით. ეს ნივთიერება კი, ყველაზე მეტი, სწორედ წითელი ფერის პროდუქტშია.

მარწყვი რადიაციისგან იცავს?

კოსმოსური რადიაციის კვლევისას დადგინდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში კოსმოსურ სივრცეში მომუშავე ასტრონავტებს ჩვეულებრივი მარწყვი დაეხმარება. ხელოვნურად შექმნილი კოსმოსური რადიაციის პირობებში, მეცნიერები ვირთხებს გაყინულ მარწყვს აჭმევდნენ, რაც მათი ტვინის უკეთ მუშაობას ეხმარებოდა. გამოკვლევის შედეგების თანახმად, ასტრონავტების მენიუში მარწყვის დამატება მათ სამუშაოს ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება. ამის მისაღწევად ადამიანს დღეში 0,5 კილოგრამი მარწყვის შეჭმა ესაჭიროება. საერთოდაც, კენკრას დამცავი ფუნქცია გააჩნია: მაგალითად, მაყვლის შემადგენლობაში არსებულ ანტიოქსიდანტებს შეუძლია, სიბერის გამო მეხსიერების გაუარესებას სძლიოს. მეცნიერებს ახლა გადაწყვეტილი აქვთ, მარწყვის აქტიური ნივთიერებები გამოავლინონ და მათი სინთეზით, ასტრონავტებს მზა აბები მიაწოდონ.

წვიმის გამო კომპენსაციას გადაუხდიან

იტალიაში, ჯეზოლოს (ვენეციის პროვინცია) ორ პლაჟზე უჩვეულო სისტემა ამოქმედდა — კურორტის სტუმრებს ან საუკეთესო ნამზეურის გარანტიას აძლევენ, ანდა თანხას აუნაზღაურებენ, თუკი უამინდობის გამო ვერ მოახერხეს გარუჯვა. წლეულს აპენინებზე ზაფხული საკმაოდ ნალექიანი გამოდგა. ტურისტები და ადგილობრივები, მეტეოროლოგიურ პროგნოზზე დაყრდნობით (რომელიც ხშირად არაზუსტია ხოლმე), თავდაჯერებულად იხდიდნენ ჯეზოლოს კერძო პლაჟებზე 5-დან 12 ევრომდე შეზლონგებისა და 4-დან 8 ევრომდე ქოლგების საფასურს, თუმცა წვიმიანი ან ღრუბლიანი ამინდის გამო, შინ უკმაყოფილოები ბრუნდებოდნენ. ტურისტების სხვა მიმართულებით გადინება რომ აიცილონ თავიდან, პლაჟების მფლობელებმა ცუდი ამინდისგან „დაზღვევა“ მოიფიქრეს. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, ტურისტს შეუძლია მეტად აღარ შეწუხდეს, თუკი ცაზე ღრუბლები გამოჩნდება. საიტზე წინასწარ ადგილების დაჯავშნის შემდეგ, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისთვის სასურველ დღეს თუ უცებ გაწვიმდება, დახარჯულ თანხას სრულად აუნაზღაურებენ. ამ უფლებით სარგებლობისთვის კლიენტს ცოტა ფულის დახარჯვა მოუწევს, მაგრამ, როგორც ამბობენ, თანხა დღეში ერთ ევროზე მეტი არ იქნება.

1. ხელოვნების სახეობა, მწერლობა
2. გოგრის სახესხვაობა
3. ოპერის სიტყვიერი ტექსტი
4. ფრანგი დიპლომატი, ნაპოლეონის თანამებრძოლი
5.მადრიდის საფეხბურთო კლუბი
6. ქართველი კომპოზიტორი
7. წითელი ფერის ძვირფასი ქვა
8. მრგვალწვერა სატევარი
9. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
10. თეთრი ან მოყვითალო მინერალი
11. დამხმარე თეორემა
12. დიდი წვეულება, ლხინი
13. სვანეთში: უფროსი, ხელმძღვანელი
14. ზღვრული ნორმა
15. ნახშირბადის და წყალბადის ატომთა ჯგუფი
16. ენერგიული, ყოჩაღი, ხალისიანი
17. სატრფიალო პოეზიის მუზა
18. სამაგიდო თამაში
19. აშშ-ს პრეზიდენტი
20. მდინარეზე გადასასვლელი ნაგებობა
21. მდინარე პარიზში
22.ქართული პოეზიის დედოფლის სახელი
23. უსამართლო ღვარძლიანი კრიტიკოსი
24. ყატარის დედაქალაქი
25. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
26. კამბოჯის დედაქალაქი
27.ქართლის მეფე ოპერაში „აბესალომ და ეთერი“
28. პარკოსანი მცენარე
29. მონარქის ტიტული ირანში
30. ტრადიციული იაპონური კერძი
31. ჩეხური წარმოშობის საბალო ცეკვა
32.სპორტული ცურვის ერთ-ერთი ხერხი
33.შეხვედრა უმაღ. დონეზე
34.ხვიარა ბალახი
35.აფრიკის ხალხთა საბრძოლო შუბი
36. შხამიანი გველი
37. დედისადმი მიმართვა გურიაში
38. სამხედრო სასამართლო
39.ძველი რომის იმპერატორი
40.დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში
41.ამაზონის დელფინი
42. ძალიან ბრაზიანი
43. ღამის ანტონიმი
44.საგანგებო დავალებით წარგზავნილი პირი
45. იაპონიის არქიპელაგი
46. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი
47. ძველბერძენთა ორყურა ჭურჭელი
48.ფრანგი მომღერალი პატრიცია ...
49. ბერძნული ანბანის ასო
50. ბატკნის მატყლი
51. ფრანგული ავტომარკა
52. ჩეხეთის დედაქალაქი
53.ფრანგ. ფილმი ოდრი ტოტუს მონაწილეობით
54. „იქ“-ძვ. ქართულში
55.ნიგერიის ვალუტა
56. მსახიობი ... კონერი
57.კარლ მარქსის „კოლეგა“
58.თურქეთის ეროვნული გმირი ...-თურქი
59. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
60. დარტანიანის მსახური
61. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
62. ხელშეკ. „ცნობილი“ ქალაქი ლუქსემბურგში
63.მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
64. ოთახის დეკორატიული ყვავილი
65.ხმელთაშუა ზღვის ნაწ.
66. მუხის ნაყოფი
67.საფრანგ. გვიანას ადმინისტრაც. ცენტრი
68. მომღერალი ... ფრანკლინი
69. ეშხი, მომხიბვლელობა
70. მდინარე გერმანიაში
71. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
72.ბალზაკის „მამა ...“
73.სახალინზე მცხოვ. ხალხი
74. ზუსტი მეცნიერება
75. ფოსო თვალის ქვეშ
76. ჭადრაკის ფიგურა
77.ადამიანი, რომელსაც სმენა არ აქვს
78. ვაზების მწკრივი ვენახში
79. მდინარე ჩილეში
80. უეფას შტაბ-ბინის ქალაქი
81. ავთვისებიანი დაავადება
82.ცნობილი პერსონის ეპიზოდური როლი
83. მზის ამოსვლა, გარიჟრაჟი
84. საფეიქრო ბანანი
85. რუსი ფერმწერი
86. ფრანგული სპორტული თამაში
87. ავთანდილის თანამდ. „ვეფხისტყაოსანში“

დისკოთეკა „უხმაურო“ გახდა

აშშ-ში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს, ე. წ. უხმაურო დისკოთეკა (Silent disco). ეს ერთგვარი ღამის კლუბებია, სადაც მუსიკას უსადენო ყურსასმენებით უსმენენ და ცეკვავენ. აკუსტიკური სისტემის გამოყენების ნაცვლად, მუსიკა მსმენელის ყურსასმენებს რადიოგადამცემის საშუალებით გადაეცემა. ის, ვინც ასეთ საღამოზე მოსასმენი საშუალების გარეშე აღმოჩნდება, მუსიკის ხმას ვერ გაიგებს და ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს იქ მყოფები მელოდიის გარეშე ცეკვავენ. ასეთი წვეულების სტუმრებმა, შეიძლება, სხვადასხვა არხიდან, სხვადასხვა დიჯეის მუსიკა მოისმინონ. ასეთი „უხმაური დისკოთეკის“ უპირატესობად იმას ასახელებენ, რომ ხელს არ უშლის გარშემომყოფებს. თანაც, თუ ცეკვით დაიღლებით, შეგიძლიათ თავისუფლად და არა ყვირილით ელაპარაკოთ მეგობარს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი „უხმაურო“ ცეკვები მხოლოდ ახლა გახდა პოპულარული, ამ იდეის არსებობა უკვე ათწლეულებს ითვლის. მსგავსი რამ ჯერ კიდევ 1969 წლის ერთ-ერთ ფინურ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმშია („ვარდების დრო“) გამოყენებული, სადაც წვეულებაზე ხალხი ყურსასმენებით ცეკვავს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.